# ახალარჩეული პარლამენტი დღეს იწყებს მუშაობას!
# მშვიდობის, სიკეთის, საქართველოს აღორძინების ოთხი წელიწადი, კანონმდებლებო!


# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge







იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუდილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


პარასკევი, 18 ნოემბერი. 2016 წ. №216 (8107), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


## მთავარი თემა

### ამერიკულ არჩევნებზე და გაკვრით ქართულზეც

④



აშშ-ში ჩატარებული წინასაარჩევნო კამპანიით დადასტურდა, რომ სოციოლოგიური გამოკითხვების ტოტალური გაყალბება და ამ გზით ხალხის გაბითურება, თანაც ხანგრძლივი დროის მანძილზე, თურმე, სავსებით შესაძლებელია ისეთ, დემოკრატიული ტრადიციების მქონე სახელმწიფოშიც კი, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია!

## სამართალი

### მთავარი პროკურატურა: უკანონოდ მსჯავრდებულთა გამართლების პროცესი შეუქცევადი იქნება!

⑥ ⑧



### სტრასბურგის სასამართლო მიდგომებს არ ცვლის

## ეკონომიკა

### არალის ზღვა, როგორც ყველა სისტემის მსხვერპლი

⑨



არსებობს ეჭვი იმის თაობაზე, რომ ადგილი აქვს ავანტიურას, რომლის უკან გეოპოლიტიკური ინტერესები იმალება და ეკონომიკა ნაკლებად აინტერესებთ...

## გიორგი კვირიკაშვილი: ჩვენი უმთავრესი ფასეულობაა ადამიანი, ჯანდაცვის რეფორმა, დევნილების ხელშეწყობა, სასამართლოს და მედიის თავისუფლება...



გუშინ გამართულ მთავრობის ბოლო სხდომაზე გიორგი კვირიკაშვილმა გაწეული სამსახურისთვის მის წინამორბედებს მადლობა გადაუხადა.

**„მინდა, განსაკუთრებით გამოვყო ჩვენი გუნდიდან პირველი პრემიერ-მინისტრის, ბატონი ბიძინა ივანიშვილის წვლილი იმ გარდატეხაში, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მოხდა. ეს იყო საქართველოში პოლიტიკის და ქვეყნის მართვის თვისობრივი ცვლილება. გულწრფელ მადლობას ვუხდი მას ყველა თქვენგანის სახელით. ასევე, მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ჩემს წინამორბედს ირაკლი ღარიბაშვილს და ყველას, ვინც ჩვენს კაბინეტში ჩვენთან ერთად აკეთებდა ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საქმეს.**

**რაც ყველაზე მეტად მეამაყება, არის ის, რომ ჩვენი მთავრობისთვის უმთავრესი და უმაღლესი ფასეულობა ყოველთვის იყო ადამიანი და სწორედ ადამიანისკენ იყო მიმართული ყველა ის ნაბიჯი, რომელიც ჩვენ ერთად გადავდგით. აქეთკენ იყო მიმართული ჯანდაცვის ძირეული რეფორმა, რომელმაც საშუალება მისცა ასიათასობით ჩვენს თანამოქალაქეს ემკურნალა უფასოდ და დღეს ჩვენ გვყავს გაჯანმრთელებული მოსახლეობა, რაც უდავოდ ძალიან დიდი მიღწევაა.**

**მიღწევაა ის, რომ ჩვენ დიდი ყურადღება დავუთმეთ სოციალურად დაუცველებს, დევნილებს და, უბრალოდ, ადამიანის გასაჭირი ყოველთვის მიგვქონდა გულთან. ასევე ძალიან დიდი მიღწევაა ის, რომ დღეს ჩვენ ქვეყანაში არავის ეშინია თავისუფალი აზრის გამოთქმა, არის თავისუფალი არჩევანის უფლება. მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა სასამართლო ხელისუფლებამ. მედია არის თავისუფალი —ყველაფერი ეს ერთდროულად მართლაცდა არის ძალიან დიდი პროგრესი, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ განიცადა და აჩვენა საერთაშორისო თანამეგობრობას.**

**პრაქტიკულად, ყველა მიმართულებით საერთაშორისო ინსტიტუტების რეიტინგების მიხედვით, საქართველოს აქვს წინსვლა — იქნება ეს დემოკრატიის თუ ეკონომიკის განვითარების მაჩვენებლები.**

**ასევე მნიშვნელოვან წარმატებას მივაღწიეთ ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე. ხელმოწერილი იქნა ასოცირების ხელშეკრულება ევროკავშირთან და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება, რომელიც სრულიად ახალ პერსპექტივას უხსნის საქართველოს და კერძო სექტორს ჩვენს ქვეყანაში. ასევე ჩვენ გავხსენით მნიშვნელოვანი სავაჭრო კავშირები აღმოსავლეთთან, რაც ასევე უდავოდ ძალიან მნიშვნელოვანია.**

**რა თქმა უნდა ამ ოთხი წლის განმავლობაში იყო არაერთი სერიოზული გამოწვევა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ და ყოველთვის ჩვენ ერთად ვუმკლავდებოდით ასეთ გამოწვევებს.**

## კოტე მახარაძე – 90



### დიდი კომენტატორი, არტისტი, პატრიოტი...

⑩

**წარმომიდგენია, რა ხდება თბილისში, ზეიმობს საქართველოს დედაქალაქი...**

1981 წელი, 13 მაისი. დიუსელდორფი

# ნატო-საქართველოს ერთობლივ სწავლებას ქართველი ოფიცრები ხელმძღვანელობენ

**ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი (JTEC) პირველად, ნატო-საქართველოს ერთობლივ სწავლებას მასპინძლობს, — სამეთაურო-საშტაბო სწავლება, რომელსაც ქართველი ოფიცრები უძღვებიან, კრიზისის საპასუხო ოპერაციის დაგეგმვის, კოორდინირებისა და აღსრულებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების დახვეწას ემსახურება.**

მრავალეროვნული სწავლების მონაწილეებს გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მიმართა. საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის ურყევი კურსისა და ნატო-საქართველოს შორის არსებული მჭიდრო თანამშრომლობის კიდევ ერთი დადასტურება - ასე შეაფასა ერთობლივი სწავლება გიორგი კვირიკაშვილმა და 11 მოკავშირე და 2 პარტნიორი ქვეყნის წარმომადგენლებს მადლობა გადაუხადა.

**— ჩვენი მიზანია საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლება, ქართული ჯარის ნატოს სტანდარტებით მომზადება. ასეთი წვრთნები ჩვენ საშუალებას გვაძლევს, უფრო მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანოთ საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებაში. ნატო-საქართველოს თანამშრომლობა მიმართულია რეგიონში მშვიდობის, სტაბილურობისა და განვითარების უზრუნველსაყოფად, რაც ყველა მხარის ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს,** — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა და აღნიშნა, რომ ის არავის წინააღმდეგ მიმართული არ არის.




გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, უპრეცედენტოა ფაქტი, რომ ასეთი დონის სწავლებას ნატოს პარტნიორი არაწევრი ქვეყანა — საქართველო ატარებს. პრემიერის თქმით, ეს ფორმატი ქართველ სამხედროებს აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას, მოკავშირეებისა და პარტნიორი ქვეყნების შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებთან ერთად, ნატოს პროცედურების შესაბამისად, განავითარონ პროფესიული უნარები.

**„ვამაყობ, რომ ჩვენ, ქართველებმა, შევძელით ყველა ეტაპის წარმატებით გავლა სწავლების მაღალ დონეზე ჩასატარებლად. ჩვენთვის დიდი პატივია, რომ კრიზისების მართვისა და რეაგირების სწავლებაზე ნატოს მრავალეროვან ბრიგადას სწორედ ქართული მხარე ხელმძღვანელობს. კიდევ ერთხელ მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებს ასეთი ნდობისა და აღიარებისათვის. საქართველოში მრავალეროვანი სწავლების ჩატარება კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ალიანსი მტკიცე მხარდაჭერას უცხადებს ჩვენს ქვეყანას, ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ეფექტიანი განხორციელებისა და ევროატლანტიკური მისწრაფებების რეალიზების პროცესში. დარწმუნებული ვარ, წვრთნები ძალიან მაღალ დონეზე ჩატარდება და სასარგებლო და წარმატებული იქნება ყველა მონაწილისთვის“,** — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

ერთობლივი სწავლება, რომელიც ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში (SNGP) ტარდება, 20 ნოემბრამდე გაგრძელდება. **სწავლებაში 11 მოკავშირე და 2 პარტნიორი ქვეყანაა ჩართული, მათ შორის — თურქეთი, ლატვია, ლიტვა, ნიდერლანდების სამეფო, რუმინეთი, უნგრეთი, ბულგარეთი, ბელგიის სამეფო, სლოვენია, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, ამერიკის შეერთებული შტატები და პარტნიორი ქვეყნები — უკრაინა და მაკედონია.**

ღონისძიებას საქართველოს პრეზიდენტი, თავდაცვის მინისტრი, პარლამენტის წევრები, შეიარაღებული ძალებისა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები დაესწრნენ. სტუმრებმა ბრიგადის შტაბი დაათვალიერეს, სადაც სწავლება მიმდინარეობს.




# ჩვენი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება არანაირად არ არის მიმართული ვინმეს წინააღმდეგ

საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოში სწავლების ჩატარების მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ეს სწავლებები, რომლებიც კიდევ უფრო გააძლიერებს და გააღრმავებს ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას, ემსახურება ასევე გლობალური სტაბილურობის მიზნებს.

**— საქართველო, როგორც ქვეყანა, რომელსაც გააჩნია ძალიან ნათელი და მკაფიო ხედვა, როგორც სტაბილურობის, ასევე, უსაფრთხოების თვალსაზრისით, კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ არის პასუხისმგებლიანი პარტნიორი. პარტნიორი, რომელსაც გააჩნია უნარი როგორც საქმით, ასევე პოზიციით დააფიქსიროს თავისი მზადყოფნა გლობალური უსაფრთხოების გასაღრმავებლად.**

**ჩვენ გვინდა, განვამტკიცოთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, იმისათვის, რომ დავამკვიდროთ მეტი სიმშვიდე, მეტი სტაბილურობა. ჩვენი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება და გაღრმავება არანაირად არ არის მიმართული ვინმეს წინააღმდეგ, არამედ ერთმნიშვნელოვნად მიმართულია მეტი სტაბილურობისა და სიმშვიდისაკენ.**

**ქართველი ჯარისკაცები ამას წლების განმავლობაში ამტკიცებდნენ და ამტკიცებენ იმ საერთაშორისო მისიებში, რომლებშიც თანამებრძოლებთან ერთად უზრუნველყოფენ გლობალურ უსაფრთხოებას.**

**მივესალმები ყველას, ვინც ჩამობრძანდა საქართველოში ერთობლივი სწავლების განსახორციელებლად. ეს ცენტრი სწორედ, მშვიდობისა და სტაბილურობისათვის თანამშრომლობასა და ერთობლივი ნაბიჯების გადადგმის მიზანს ემსახურება!..**

# თბილისში „ტისუპეიპერი“ – ახალი გადამამუშავებელი საწარმო გაიხსნა

**პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა მაკულატურის და ცელულოზის გადამმუშავებელი ახალი საწარმო „ტისუპეიპერი“ ოფიციალურად გახსნა, რომლის შემდეგაც გაეცნო სამუშაო პროცესს და დაათვალიერა პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში შეძენილ ტექნოლოგიასა და წარმოებულ პროდუქციას. „ტისუპეიპერი“ ბაზარზე ჰიგიენური ქაღალდის პროდუქციას აწარმოებს.**

პირველმა ვიცე-პრემიერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა დადებითად შეაფასა ის გარემოება, რომ ახალი საწარმო გარემოს მიმართ მეგობრულია და მაკულატურის მეორადი გადამუშავება მიმდინარეობს. მისი განცხადებით, მნიშვნელოვანია, რომ წარმოება გამიზნულია იმპორტის ჩანაცვლებაზე. დღეს „ტისუპეიპერის“ პროდუქცია ჰიგიენური ქაღალდით ადგილობრივი მოხმარების 30 პროცენტს აკმაყოფილებს, თუმცა ამ მაჩვენებლის გაორმაგებაა დაგეგმილი.

**„სწორედ ესაა პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მთავარი ამოცანა — ჩვენს ქვეყანაში წარმოებები განვითარდეს, მოხდეს იმპორტის ჩანაცვლება და საექსპორტო სიმძლავრეების გაზრდა“,** — განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

საწარმოში ამჟამად 85 ადამიანია დასაქმებული. მისი სრული სიმძლავრით ამუშავებისას, 100-მდე ადამიანს დაასაქმებს და ყოველთვიურად 170 000 კგ. ჰიგიენურ ქაღალდის წარმოებას შეძლებს.



# ლევან იზორია: არ გვყავს იმდენი სამხედრო მოსამსახურე, რომელიც ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებს!

**თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია ამბობს, რომ აბსოლუტური სიცრუეა გავრცელებული ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ თავდაცვის მინისტრს არ ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი სერგო ნინუა და გიორგი ცაბაძე თანამდებობებზე დაენიშვნა.**

ლევან იზორიას განცხადებით, გამონაკლის შემთხვევაში მინისტრს უფლებამოსილება აქვს დანიშნოს თანამდებობაზე სამხედრო მოსამსახურე. იზორიას ამის მაგალითად მისი წინამორბედი მინისტრების გადაწყვეტილებები მოჰყავს:

**„მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ მინისტრს არ ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი მათი დანიშვნის, რაც აბსოლუტური სიცრუეა. თქვენ ალბათ იხილეთ ის ბრძანება, რომელშიც მართლა გაწერილია გარკვეული საკვალიფიკაციო კრიტერიუმები. აქვე მითითებულია, რომ გამონაკლის შემთხვევაში მინისტრს უფლებამოსილება აქვს დანიშნოს შესაბამის თანამდებობაზე სამხედრო მოსამსახურე. მინდა, განვუმარტო საზოგადოებას, რამ განაპირობა ეს გამონაკლისი: ჩვენ, სამწუხაროდ, არ გვყავს იმდენი სამხედრო მოსამსახურე, რომელიც ყველა ამ კრიტერიუმს აკმაყოფილებს. საუბარია ენის ცოდნასა და სხვა კრიტერიუმებზე, ამიტომ მივიღეთ ეს გადაწყვეტილება...თქვენ თუ გადახედავთ წინამორბედების გადაწყვეტილებებს, ნახავთ, რომ თითქმის უმრავლესობა გადაწყვეტილებებისა არის საგამონაკლისო წესით მიღებული. აქ ლაპარაკია გაცილებით უფრო მაღალ თანამდებობებზე, ვიდრე ამ ორ პიროვნებას ეხება. თუ ვინმეს აქვს ილუზია, რომ ეს მარტო იზორიას მინისტრობის დროს ხდება, ეს არის ტყუილი“,** — განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.




* * *

ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის მაღალჩინოსნების სერგო ნინუასა და გიორგი ცაბაძის საქმესთან დაკავშირებით მიმდინარე მოკვლევას თავდაცვის მინისტრი ეხმაურება. როგორც თემის კომენტირებისას ლევან იზორიამ ჟურნალისტებს განუცხადა, იმ შემთხვევაში, თუ მოკვლევის საფუძველზე არ გამოიკვეთება აღნიშნული პირების ბრალეულობა, მათ თანამდებობებზე აღადგენს.

**„კრიტიკა დაკავშირებული იყო იმ ვიდეოსთან, რომელიც გავრცელდა, სადაც ჩანს, ერთ-ერთი მათგანი. მან პირადად მთხოვა გამომდინარე რეფორმების განხორციელების და მოკვლევის მიუკერძოებლობის ინტერესებიდან, გადადგეს თანამდებობიდან, თუმცა ხაზგასმით ვამბობ — დროებით, სანამ მოკვლევა საბოლოო პასუხს არ იტყვის. იმ შემთხვევაში, თუ არ გამოვლინდა მოკვლევის საფუძველზე მათი პოლიტიკური ნიშნით აქტიურობა, მე მივიღებ ადეკვატურ გადაწყვეტილებას. ვაფასებ მათ ღირსეულ გადაწყვეტილებას თანამდებობის დატოვების გადაწყვეტილების შესახებ. მათ აქვთ კონკრეტული ხედვა და ღვაწლი თავდაცვის სისტემაში“,** — განაცხადა იზორიამ.

# საგარეო საქმეთა მინისტრის ინიციატივით ყველა საელჩოში დაინერგება პროგრამა „საქართველო გელოდებათ“

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის **მიხეილ ჯანელიძის** განცხადებით, დაინერგება ინიციატივა „საქართველო გელოდებათ“, რომლის ფარგლებშიც საზღვარგარეთ მყოფი თანამემამულეები და დიასპორის წარმომადგენლები მიიღებენ ამომწურავ ინფორმაციას და შესაბამის დახმარებას საქართველოში არსებულ შესაძლებლობებზე — ქვეყნის ეკონომიკაზე, საჯარო და კერძო სექტორზე, საინვესტიციო გარემოზე და ა.შ. აღნიშნული ინიციატივა საზღვარგარეთ საქართველოს ყველა საელჩოს დონეზე განხორციელდება და ხელს შეუწყობს სხვადასხვა პროექტებში დიასპორის ჩართულობას და მათ რეინტეგრაციას.

დიასპორის საკითხებზე გამართულ კონფერენციაზე „ქართული დიასპორა — დღევანდელობა და გამოწვევები“ სიტყვით გამოსვლისას მინისტრმა ხაზი გაუსვა საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების აქტიურ ჩართულობას დიასპორასთან კომუნიკაციის და მათთვის დახმარების აღმოჩენის საკითხში. მისივე ინფორმაციით, საელჩოებში და საკონსულო დაწესებულებებში დიასპორის წარმომადგენლებისთვის ამოქმედდება სპეციალური „ცხელი ხაზი“.



# ბანკების ასოციაცია პრემიერ-მინისტრს მიმართავს!

ბოლო დროს თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მიერ ხდება უკანონო, დაუსაბუთებელი და საშიში პრაქტიკის დამკვიდრება, აღნიშნულის შესახებ საქართველოს ბანკების ასოციაციის განცხადებაშია აღნიშნული. ასოციაციაში განმარტავენ, რომ საქმე ბანკის (კრედიტორის) მიერ მოვალის სასესხო დავალიანების დასაფარავად, ჩატარებული აუქციონის ბათილად ცნობას ეხება.

ასოციაცია პრემიერ-მინისტრს და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს მიმართავს, რათა ისინი დაინტერესდნენ პრობლემით, რათა ეკონომიკური წინსვლის შემაფერხებელი მანკიერი პრეცედენტის დაშვება არ მოხდეს.

**„საყოველთაოდ ცნობილია, რომ აუქციონის წესით სესხის სანაცვლოდ დაგირავებული ქონების რეალიზაცია ემსახურება კრედიტორის კანონიერი უფლების განხორციელებას. სამწუხაროდ, ბოლო დროს თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მიერ ხდება უკანონო, დაუსაბუთებელი და საშიში პრაქტიკის დამკვიდრება.**

**საკითხი ეხება კანონის მოთხოვნების შესაბამისად და სრული დაცვით, ბანკის (კრედიტორის) მიერ მოვალის სასესხო დავალიანების დასაფარავად, ჩატარებული აუქციონის ბათილად ცნობას. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ბანკმა სასესხო დავალიანების დაფარვის მიზნით და კანონით დაგეგმილი წესით (აუქციონი) გირაოში ჩადებული ქონება გაასხვისა. ახალმა კეთილსინდისიერმა შემძენმა, მრავალმილიონიანი ინვესტიციის შედეგად შესყიდული აქტივების რეაბილიტაცია მოახდინა და იგი მომგებიან საწარმოდ აქცია. დაუშვებელია, რომ აუქციონის ბათილობას სასამართლო აცხადებს წლების შემდგომ, როდესაც ქონება უკვე კეთილსინდისიერი მყიდველის საკუთრებაშია გადასული და აქტივი წარმატებით ახორციელებს ბიზნესსაქმიანობას.**

**მიგვაჩნია, რომ სასამართლოს ორი ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია და სერიოზულ ზიანს აყენებს არამარტო კონკრეტული ბანკის, როგორც კრედიტორის კანონიერ უფლებებს, არამედ ზოგადად სახიფათო პრეცედენტს ქმნის ბიზნეს გარემოსათვის. სასამართლოს გადაწყვეტილება აუქციონის შედეგების ბათილობასთან დაკავშირებით, მხოლოდ მსესხებლის ვინაობასა და გავლენის სფეროზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. ეს საშიში ტენდენცია დამღუპველია ბიზნესის წარმოების სამართლებრივი გარემოსათვის, ვინაიდან, პირველ რიგში, გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს ინვესტიციების დაცულობას და, მეორე მხრივ, ქვეყნის ეკონომიკას მთლიანად.**

**მივმართავთ თხოვნით საქართველოს პრემიერ-მინისტრს და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, დაინტერესდნენ ამ პრობლემით, რათა თავიდან ავიცილოთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის შემაფერხებელი მანკიერი პრეცედენტის დაშვება“,** — აცხადებენ საქართველოს ბანკების ასოციაციაში.

# საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების ინტერესების დაცვაა ერთ-ერთი პრიორიტეტია!

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი **მიხეილ ჯანელიძე** საგარეო უწყების საქმიანობის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების ინტერესების დაცვას ასახელებს. როგორც მინისტრმა დიასპორის საკითხებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე „ქართული დიასპორა — დღევანდელობა და გამოწვევები“ სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, ამ მნიშვნელოვან მისიას ახორციელებს საქართველოს 64 საელჩო და 9 გენერალური საკონსულო, რომლებიც მაღალკვალიფიციურ მომსახურებას უწევენ საქართველოს მოქალაქეებს.

მინისტრის ინფორმაციით, უწყება აპირებს აქტიურად დანერგოს თანამედროვე ტექნოლოგიები და ახალი მექანიზმები, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს ამ მომსახურებას.

**„საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური მისიები მჭიდრო კონტაქტში იმყოფებიან ქართულ დიასპორასთან. როგორც წესი, ჩვენი დიპლომატები აქტიურად მართავენ შეხვედრებს დიასპორის წარმომადგენლებთან. ეს შეხვედრები მომავალშიც გაგრძელდება და კიდევ უფრო ინტენსიური ხასიათი მიეცემა, რათა ჩვენ უკეთ გავაცნობიეროთ თქვენს წინაშე მდგარი პრობლემები და საკითხები და ამავდროულად ვიცოდეთ, თუ როგორია თქვენი ხედვა ჩვენი ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებსა და პერსპექტივებთან დაკავშირებით“,** — განაცხადა მინისტრმა კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას.



მიხეილ ჯანელიძის განცხადებით, სამინისტროს რესურსებიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე, სწორედ საგარეო უწყება არის ის ორგანიზაცია, რომელიც შეძლებს საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეებთან და დიასპორის წარმომადგენლებთან აქტიურ ურთიერთობას და მათი პრობლემების მოგვარებას.

# ამერიკის ელჩის მოადგილე კვლავ „რუსთავი-2“-ს ესარჩლება

უზენაესი სასამართლოს მიერ „რუსთავი-2“-ის საქმეზე ზეპირი მოსმენის გარეშე დანიშნულ სხდომას აშშ-ს ელჩის მოადგილე საქართველოში ნიკოლას ბერლინელი ეხმაურება და აცხადებს, რომ დემოკრატიულ და პლურალისტურ პოლიტიკურ გარემოში განსხვავებული ხმები უნდა ისმოდეს.



**„რუსთავი-2“-თან დაკავშირებით ჩვენი შეშფოთება ბევრჯერ გამოვთქვით. ჩვენი ფუნდამენტური პოზიცია არასდროს იცვლება. ძალიან მნიშვნელოვანია დემოკრატიისთვის და პლურალისტული პოლიტიკური ცხოვრებისთვის ისმოდეს განსხვავებული ხმები და შეხედულებები. ამ ყველაფერს კი თავისუფალი მედია გარემო უზრუნველყოფს,“** — აცხადებს ბერლინელი.



# საქართველოში გზის მოწყობის ინოვაციური მეთოდი დაინერგა

**საქართველოში, პირველად, ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის საავტომობილო გზის 300-მეტრიან მონაკვეთზე (სომხეთის რესპუბლიკის საზღვარი), გზის ინოვაციური მეთოდით მოწყობის ექსპერიმენტული სამუშაოები განხორციელდა.**

ახალი მეთოდით გზის საფუძვლის მოწყობა (სტაბილიზაცია) ცემენტის მსგავსი სპეციალური შენარევით ხორციელდება. მისი ღირებულება ერთ კვადრატულ მეტრზე 5-6 დოლარია, რაც თითქმის ორჯერ იაფია კლასიკურ მეთოდთან შედარებით. გარდა იმისა, რომ მეთოდი გზის სწრაფად და იაფად რეაბილიტაციის საშუალებას იძლევა, ამ ფორმით მოწყობილი გზის საფუძველი უფრო მდგრადი და მყარია. ასევე, გამოირჩევა ნაკლები წყალშეღწევადობით.

**სამუშაოების დასრულების შემდგომ ჩატარებული ექსპერტიზის შედეგების მიხედვით, სპეციალისტებმა აღნიშნული მეთოდი დადებითად შეაფასეს. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ახალი მეთოდით მოწყობილი გზის საფუძველი სრულად აკმაყოფილებს ტექნიკური მოთხოვნების პარამეტრებს.**

# სეტყვის შედეგად მიყენებული ზარალი აუნაზღაურდათ

**გურჯაანის რაიონში ერთიანი აგროპროექტში ჩართულ ბენეფიციარებს სეტყვის შედეგად მიყენებული ზარალი სრულად აუნაზღაურდებათ. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს „აგროდაზღვევის პროგრამის“ მენეჯერი ლევან მაღრაძე, სადაზღვევო კომპანია ალდაგის წარმომადგენელი და კახეთის რეგიონის გუბერნატორის პირველი მოადგილე ირაკლი შიოშვილი გურჯაანის მუნიციპალიტეტში დაზარალებულ ივანე ხუცოშვილს შეხვდნენ და სეტყვის შედეგად განადგურებული გარგრის ნაკვეთები დაათვალიერეს.** სოფელ ახაშენის მკვიდრს ივანე ხუცოშვილს სეტყვის შედეგად დაუზიანდა მოსავლის 70%. სადაზღვევო კომპანია ალდაგმა აღნიშნულ ბენეფიციარს აუნაზღაურა 21,546 ლარი. ბენეფიციარის მიერ სადაზღვევო პოლისის შესაძენად გადახდილმა თანხამ 820.80 ლარი შეადგინა, ხოლო სააგენტოს სუბსიდირებამ 3,283.20 ლარი.

**2016 წლის სექტემბრის მონაცემებით საქართველოს მასშტაბით „აგროდაზღვევის პროგრამის“ ფარგლებში გაცემულია 16,139 პოლისი, პროგრამაში ჩართულია 12,772 ბენეფიციარია, სახელმწიფოს მხრიდან სადაზღვევო პრემიის სუბსიდიის თანხამ 7,737,083.87 ლარი შეადგინა. დაზღვეულია 14,640.86 ჰა ფართობი მიწის ნაკვეთი, ხოლო მოსავლის ღირებულებამ ჯამში 125,774,643.03 ლარია. ქარიშხლის, ჭარბი ნალექისა და სეტყვის შედეგად 3,423.00 სადაზღვევო შემთხვევა დადგა, ასანაზღაურებელი თანხა პირველადი შეფასებით 5,180,568.02 ლარს შეადგენს. პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს ზარალის შეფასება და თანხის ჩარიცხვა.**

# თეა წულუკიანი ლევილის მამულის გადმოცემაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის დაჯილდოვდა

**საქართველოს იუსტიციის მინისტრი გუშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი ჯილდოთი — ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით დაჯილდოვდა.**



თეა წულუკიანს საპატიო ჯილდო ლევილის მამულის საქართველოსთვის გადმოცემაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებისა და სტუდენტებისათვის სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობისთვის, უნივერსიტეტის წინაშე გაწეული განსაკუთრებული დამსახურებისთვის გადაეცა. აღნიშნული ჯილდო იუსტიციის მინისტრმა ქართული დიასპორის საკითხებისადმი მიძღვნილი კონფერენციის გახსნაზე უნივერსიტეტის რექტორ გიორგი შარვაშიძისგან მიიღო.

№216. პარასკევი, 18 ნოემბერი, 2016 წელი.

# ამერიკულ არჩევნებზე და

**ასეთი ბინძური და სამარცხვინო წინასაარჩევნო კამპანია, როგორიც შეერთებული შტატების 45-ე პრეზიდენტის არჩევას უძღოდა წინ, განსაკუთრებით კი ფინიშის სწორზე, როდესაც თითო კანდიდატი დარჩა რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიებიდან, ამერიკის ისტორიამ არ იცის.** უკადრებელ ხერხებს მხოლოდ დემოკრატიული პარტიის კანდიდატი ქ-ნი ჰილარი კლინტონი და მისი მხარდამჭერები იყენებდნენ. რა არ უწოდეს და დააბრალეს რესპუბლიკელების კანდიდატს, მილიარდერ დონალდ ტრამპს — უჭკუო, უვიცი, სულელი, იდიოტი, კლოუნი, გულისამრევი, ჰომოფობი, რასისტი, ღორიც კი, გარყვნილი, პუტინის აგენტი და სხვა მსგავსი რამ! შეურაცხყოფის და ცილისწამების ეს ნიაღვარი მოდიოდა არა რიგითი ამერიკელებისგან, არამედ ელიტად წოდებული მაღალი საზოგადოების წარმომადგენლებისგან — ცნობილი მსახიობ-მომღერლებისგან და უმაღლესი პოლიტიკური პოზიციების მქონე არა მარტო ამერიკელი, არამედ, საფრანგეთის, ბრიტანეთის და გერმანიის ლიდერებისგანაც.

გარყვნილება ტრამპს მართლაც „დაუმტკიცეს“ — მოწმეებად გადაკრუხებული ქალები გამოჩხრიკეს — ვისთვისაც კი ტრამპს ხელი მოუსვია სხვადასხვა ადგილას 18 და 30(!) წლის წინათაც კი და, რომლებსაც თავის დროზე კრინტიც არ დაუძრავთ. მხოლოდ ახლა, არჩევნების წინ ალაპარაკდნენ (თუ აალაპარაკეს!). ამ ქალების ალაპარაკება რომ „ჩაწყობილი“ იყო იქიდანაც ჩანს, რომ კლინტონის ბანაკმა ტრამპს მაშინვე ქალების შეურაცხმყოფელი მამაკაცის იარლიყი მიაკრა. რუსეთის აგენტობის ბრალდება კი მას ზუსტად ისევე „დაუმტკიცეს“, როგორც ეს ჩვენთან სააკაშვილმა და მისმა ნაცმოძრაობამ მოახერხა ოპოზიციის ლიდერებთან მიმართებაში. ტრამპის ერთ-ერთი მთავარი მესიჯი, რომ რუსეთთან აუცილებელია ნორმალური ურთიერთობის დამყარება და არა კონფრონტაცია, ცხადია, რუსეთის აგენტობის სამხილად არ გამოდგებოდა. ტრამპის არც მეორე, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი განცხადება იმის თაობაზე, რომ **დროა, ამერიკამ შეწყვიტოს სამხედრო ძალით ამერიკული დემოკრატიის დამყარება მთელ მსოფლიოში, უარი თქვას მსოფლიო პოლიციელის (ანუ ჟანდარმის) როლზე** და საკუთარ სახელმწიფოზე, საკუთარ ხალხზე იზრუნოსო, გამოდგებოდა მისი აგენტობის დამადასტურებელ საბუთად.

მთლად გაბუტული თუ არ ხარ საღ აზროვნებასთან ან ნამუსგარეცხილი, **უჭკუო და უცოდინარი, როგორ უნდა უწოდო 20 (!) წიგნის, მათ შორის, რამდენიმე ბესტსელერის ავტორს, რომლის წიგნებსაც ბიზნესსაქმიანობის სახელმძღვანელოებად იყენებენ სასწავლებლებში?! და, ამავე დროს, როგორ შეიძლება არ აღფრთოვანდე ტრამპის შემართებით და უშიშრობით, მისი გამარჯვების რწმენით, გაუტეხლობით და ფსიქოლოგიური(!) სიძლიერით, როცა თვეების მანძილზე ყოველდღიურად, ამერიკის ყველა მთავარი ტელეარხიდან და გაზეთიდან იძულებული ხარ ისმინო და იკითხო შენი ლანძღვა-გინება, შეურაცხყოფა, ცილისწამება და მუქარაც,** თანაც, ცნობილი და მაღალ პოსტებზე მყოფი ადამიანების პირიდან ამოსული! **ტრამპის წინააღმდეგ, მის დისკრედიტაციაზე მუშაობდა** არა მარტო დემოკრატიული პარტია, რაშიც არაფერი იქნებოდა უცნაური (კონკურენტული ბრძოლის მიუღებელ, არაჯენტლმენურ ფორმებს თუ არ ჩავთვლით, რა თქმა უნდა), არამედ — **მთლიანად ამერიკის პოლიტიკური და ფინანსური ელიტა, რომელსაც არ აწყობს ტრამპის მიერ გაცხადებული საგარეო კურსი**. არ აწყობს, რადგანაც ამ ძალების მიზანი მსოფლიო ბატონობაა და დედამიწის მოსახლეობის ჯერადობრივი და შერჩევითი(!) დეპოპულაცია (რასაც დღესდღეობით, პრინციპში, მხოლოდ რუსეთი და ჩინეთი ეღობება წინ). ამიტომ, ისინი არასოდეს იტყვიან უარს ისეთ ომებზე, როგორსაც ამერიკა აწარმოებს ახლო აღმოსავლეთში აგერ უკვე 15 წელია, და არც — მათთვის არასასურველი მთავრობების ჩამოგდების მიზნით სპეციალურად შექმნილ-დაფინანსებულ-შეიარაღებულ ე.წ. არასამთავრობო და ტერორისტულ ორგანიზაციებზე. ამ ელიტად წოდებულ კაცთმოძულე ძალებს არ აწყობთ კონფლიქტების მოგვარება და საომარი მოქმედებების შეწყვეტა არც ერთ რეგიონში, რადგანაც ამ ომებს, როგორც წესი, სხვისი ხელით წარმოებულს, სხვისი სისხლის ხარჯზე, დიდი მოგება მოაქვს მათთვის — იარაღის გასაღებით და კაბალური სესხებით (ბანკების მიერ ამერიკა-ნატოს დაბომბვებით მიწასთან გასწორებული ქვეყნების „დასახმარებლად“ დიდსულოვნად გაცემული), რასაც საბოლოო ჯამში ამ სახელმწიფოების წიაღისეული სიმდიდრეების ხელში ჩაგდება მოჰყვება ხოლმე. სწორედ ამიტომ ტრამპს ძალიან გაუჭირდება საგარეო კურსთან (ნაწილობრივ, საშინაოსთანაც) დაკავშირებით გაცემული დაპირებების შესრულება და იმ წინააღმდეგობის დაძლევა, რაც მას ინაუგურაციის შემდეგ (2017 წლის 20 იანვრიდან) დახვდება წინ, მაგრამ, **დარწმუნებული ვარ, ისეთი კაცი, რომელმაც ამერიკის ისტორიაში (არამარტო არჩევნების!) აქამდე არნახულ ფსიქოლოგიურ ზეწოლას გაუძლო,** მომავალ შემოტევებსაც მოიგერიებს და ყველა დაპირებას თუ ვერ შეუსრულებს, მაინც ბევრ სიკეთეს მოუტანს ამერიკელ ხალხს.

ამერიკის 2016 წლის საარჩევნო კამპანიამ დაგვანახვა, რომ სოციოლოგიური გამოკითხვების გაყალბება, კომპიუტერული მაქინაციები, უკანონო შემოწირულობები (მილიონობით დოლარის), „მკვდარი სულების“ გამოყენება, ე.წ. „კარუსელები“ და მხარდამჭერთათვის ფულის გადახდა (ერთ ხმაში — 300 დოლარის), თურმე, დემოკრატიის ბაირაღით მთელ მსოფლიოში მებრძოლ შეერთებულ შტატებში ჩვენზე არანაკლებ სცოდნიათ. ამის თაობაზე ტრამპი კანდიდატობის პერიოდში ლაპარაკობდა (ხმების მოპარვას ადგილი ჰქონდა მისი, როგორც კონკურენტი პარტიის კანდიდატის, ისე თავად დემოკრატების მეორე კანდიდატის ბერნი სანდერსის შემთხვევაშიც!). „ძნელად“ გასარკვევი რჩება ერთი რამ: არჩევნებ-გამოკითხვების გაყალბების „მაღალი ტექნოლოგიები“ ჩვენ გავუზიარეთ ამერიკელებს, თუ, პირიქით, სხვა „სიკეთეებთან“ ერთად აქეთ შეგვასწავლეს ტრენინგებზე, როცა ჩვენს ჭყინტ გოგო-ბიჭებს ამზადებდნენ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებში მუშაობისთვის.

ახლა, ორიოდ სიტყვა ტრამპის საწინააღმდეგო საპროტესტო გამოსვლების შესახებ, რომელიც არჩევნებს მოჰყვა და დღესაც გრძელდება. ტრამპის გამარჯვებას ღიად აპროტესტებენ ძირითადად ლათინოსები, ჰომოსექსუალები (თავიანთი ცისარტყელა დროშებით) და მუსლიმები, აგრეთვე — ჩრდილში მყოფი პოლიტიკური და ფინანსური ელიტა. ასეთ აქციებს, ცხადია, ახსნაც მოეძებნება: ლათინოსები ტრამპის წინააღმდეგი არიან, რადგანაც არალეგალების (ამერიკაში უკანონოდ მყოფების) 20-მილიონიანი არმიის 90%-ს ლათინოსები შეადგენენ, ხოლო მათგან 90%-ს მექსიკელები. **ტრამპს კი გადაწყვეტილი აქვს მექსიკასთან დამცავი კედლის (ზოგან, ღობის) აშენების შემდეგ კრიმინალი და ნარკოტიკებით მოვაჭრე არალეგალების (დაახლოებით 2-3 მილიონის) დეპორტაცია;** ჰომოსექსუალები აპროტესტებენ იმიტომ, რომ **ტრამპი ტრადიციული ოჯახის მომხრეა და ერთნაირსქესიანთა ქორწინების წინააღმდეგი;** მუსლიმების გამოსვლების მიზეზი კი არის ტრამპის გადაწყვეტილება მაქსიმალურად შეზღუდოს მათი თანამოძმეების შემოსვლა ამერიკაში და **იბრძოლოს არა სირიის პრეზიდენტის ჩამოსაგდებად, არამედ, რადიკალური ისლამის, „იგილის“ ტერორისტული ორგანიზაციების წინააღმდეგ**. ასე რომ, გასაკვირი არც არაფერი იქნებოდა, ეს გამოსვლები — ძალადობრივი აქტების — მტვრევა-მსხვრევა-ცეცხლის წაკიდების გარეშე რომ წარმართულიყო. მაგრამ არც ესაა მთავარი. აღმოჩნდა (ეს დოკუმენტურად არის დადასტურებული!), რომ გამოსვლები არა სპონტანური, არამედ კარგად ორგანიზებულია (ამას ამბობს უკვე პრეზიდენტად არჩეული ტრამპი) — პროტესტანტები დანიშნულების ადგილებამდე ავტობუსებით ჩაჰყავთ, თითოეულს ერთ საათში 15-18 დოლარს უხდიან და მხოლოდ ერთ მოთხოვნას ახმოვანებინებენ: გამარჯვებული რესპუბლიკელების მიერ შერჩეულმა ე.წ. ამომრჩეველთა წარმომადგენლობითმა კოლეგიამ არ დაამტკიცოს ტრამპი პრეზიდენტად (საქმე ისაა, რომ **მხოლოდ ზოგიერთი შტატის წარმომადგენლებს აქვთ ვალდებულება, მხარი დაუჭირონ ამ შტატის მოსახლეობის უმრავლესობის მიერ არჩეულ პრეზიდენტობის კანდიდატს, სხვა შტატებში კი ამ წარმომადგენლებს შეუძლიათ უგულებელყონ ამ უმრავლესობის ნება და თავის ჭკუაზე მიიღონ გადაწყვეტილება — აირჩიონ დამარცხებული კანდიდატი! ესეც შენი ნაქები ამერიკული დემოკრატია!)**. ვის მიერ არის ორგანიზებული და ვინ აფინანსებს საპროტესტო აქციებს მთელი ამერიკის მასშტაბით? რა თქმა უნდა, კლინტონის მხარდამჭერი ფინანსური ელიტა. ნუთუ, ესეც — **მომიტინგეების ავტობუსებით ჩამოყვანა და მათთვის ფულის დარიგება კიევის მაიდნის მომწყობმა ამერიკელებმა ჩვენგან ისწავლეს?!** ყველაფერი ზემოთქმულის შემდეგ, განა მწარე ღიმილის მომგვრელი არ არის, როცა ისინი სხვათა არჩევნების დემოკრატიულობას აფასებენ (დასავლელი დამკვირვებლები აშკარა სიყალბეზე რომ ხუჭავენ თვალს, ამაზე ოდნავ ქვემოთ მოგახსენებთ)?

მივუბრუნდეთ ამერიკის წინასაარჩევნო კამპანიას, როდესაც ყველა გამოკითხვით მთელი კამპანიის მანძილზე ჰილარი კლინტონი იყო წინ და, როდესაც ყველა ექსპერტი მას უწინასწარმეტყველებდა გამარჯვებას; მთელი წამყვანი მასმედია („მეინსტრიმს“ რომ ეძახიან ამჟამად ჩვენთანაც) ტრამპის განქიქებით და იმ კვლევების ტირაჟირებით იყო დაკავებული, რომლებიც მას გამარჯვების არავითარ შანსს არ უტოვებდნენ. აქაც უნდა ვიკითხო აუცილებლად: **კი მაგრამ, ჩვენთან თავის ნებაზე მიშვებული და ამით გათავხედებული ენ-დი-აი, აი-არ-აი, და თარხნიშვილის ცოლის კომპანია ატარებდნენ გამოკითხვებს ამერიკაშიც, ასეთი აშკარად გაყალბებული შედეგები რომ მიეწოდებოდა ამერიკის მოსახლეობას** და ამ ტყუილებით, ცალკე კიდევ ტრამპის ლანძღვა-გინებით, ტვინს რომ ურეცხავდნენ ამომრჩეველს 24-საათიან რეჟიმში, თითქმის, მთელი წლის მანძილზე?! გამოკითხვებს, რა თქმა უნდა, ბევრი კომპანია ატარებდა, მაგრამ არსებული მასობრივი ინფორმაციის მთავარი საშუალებებით, რომლებიც სულ ხუთიოდე(!) ამერიკული ოჯახის ხელშია, მოსახლეობას შეგნებულად მხოლოდ ის ინფორმაცია მიეწოდებოდა, რომელიც პოლიტიკურ და ფინანსურ ელიტას აწყობდა (სოლიდური პრესიდან მხოლოდ ერთადერთი „ლოს ანჯელეს ტაიმსი“ აქვეყნებდა იმ რეიტინგებს, რომლის მიხედვითაც ტრამპი ლიდერობდა მუდმივად). **აშშ-ში ჩატარებული წინასაარჩევნო კამპანიით დადასტურდა, რომ სოციოლოგიური გამოკითხვების ტოტალური გაყალბება და ამ გზით ხალხის გაბითურება, თანაც ხანგრძლივი დროის მანძილზე, თურმე, სავსებით შესაძლებელია ისეთ დემოკრატიული ტრადიციების მქონე სახელმწიფოშიც კი, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია!**

**ტრამპის მხარდამჭერების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ არ გადაყლაპეს ის სატყუარა, რასაც უხვად სთავაზობდნენ ყოველდღიურად, არ შეუშინდნენ თავიანთ წინააღმდეგ გაჩაღებულ დაშინების პოლიტიკას** (ტრამპის მომხრეები სამსახურის დაკარგვის შიშით ხმის ამოღებას, თავიანთი პოზიციის საჯაროდ დაფიქსირებას ვერ ბედავდნენ თავისუფალ ამერიკაში!) **და ხმა მისცეს იმ ტრადიციულ ღირებულებებს, იმ პოლიტიკურ კურსს, რომლებსაც მათ ტრამპი სთავაზობდა.** საშუალო ამერიკელად წოდებული ამერიკის მოქალაქისთვის დიდად შემაწუხებელი არ იქნებოდა არც სახელმწიფოს 20-ტრილიონიანი საგარეო ვალი და არც ერაყ-ავღანეთის ომებში ჩაყრილი 5 ტრილიონი დოლარი, მისი მდგომარეობა რომ არ გაუარესებულიყო, ხელფასი არ შემცირებოდა და ვალი არ გაზრდოდა (მხოლოდ ერთი ცნობა — ამერიკელ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს ერთ ტრილიონ დოლარზე მეტ ვალი აქვთ ბანკების, და კოლეჯის დამთავრების შემდეგ ეს ვალი მათ უნ-




**კლინტონს ვინღა დაუჭირა მხარი? როგორც მოსალოდნელი იყო — ლათინოსებმა, ჰომოსექსუალებმა, აფრო-ამერიკელების 88 %-მა (!) და თეთრკანიანების მხოლოდ 37 %-მა! კლინტონს მხარი დაუჭირეს, აგრეთვე, მარიხუანის ლეგალიზაციის და აბორტების მომხრეებმა და იმათ, ვინც ეკლესიაში არ დადის!**

# გაკვრით ქართულზე

და იხადონ მრავალი წლის მანძილზე). ყველაფერთან ერთად ამ ამერიკელმა მოქალაქემ დაინახა, რომ ნელ-ნელა და შეფარვით მას თავს ახვევენ მისთვის მიუღებელ წეს-კანონებს (ბევრი რამ ხომ უკვე მოახვიეს კიდეც), ხოლო იმ ტრადიციულ ღირებულებებს კი, რომლებზედაც იდგა ამერიკა მისი დაარსებიდან, როგორც დრომოჭმულს, 21-ე საუკუნისთვის შეუფერებელს, ისე წარმოუჩენენ.

ამიტომაც, 2016 წლის 8 ნოემბერს ამერიკელმა ამომრჩეველმა არნახულად (უკანასკნელი 50 წლის მანძილზე) იაქტიურა (ისინიც კი მივიდნენ ხმის მისაცემად, რომლებსაც არასოდეს არ მიუღიათ არჩევნებში მონაწილეობა) და პრეზიდენტობის კანდიდატი მისთვის მისაღები ღირებულებებიდან გამომდინარე შეარჩია. მიუხედავად იმისა, რომ ტრამპმა მექსიკასთან დამცავი კედლის აშენების და კრიმინალი არალეგალების დეპორტაციის დაპირება მისცა ამერიკელ ხალხს, რითაც მან ამერიკაში მცხოვრები 40 მილიონამდე ლათინოსის მხარდაჭერა დაკარგა; მიუხედავად იმისა, რომ იგი უკვე დაკანონებულ (2015 წლის ივნისში) ერთნაირსქესიანთა ქორწინებას ეწინააღმდეგება, რითაც ასევე დაკარგა 20 მილიონამდე ლესბოსელ-მამათმავლის მხარდაჭერა (რომ არაფერი ვთქვათ ასეთი ქორწინების მომხრეებზე); მიუხედავად იმისა, რომ კლინტონმა ორჯერ მეტი დახარჯა საარჩევნო კამპანიაზე (1.5 მილიარდი !), მაინც ტრამპმა გაიმარჯვა. მან მიიმხრო ამერიკელების საშუალო ფენა, რომელთა ხვედრითი წილი წლიდან წლამდე მცირდება, ხოლო მდგომარეობა უარესდება აგერ უკვე 20 წელია; მან მიიმხრო იმ ამერიკელების დიდი ნაწილი, ვისმა წინაპრებმაც ააშენეს დიდი შეერთებული შტატები, და ისინიც, რომლებიც იზიარებენ ტრამპის შეხედულებას ნატოზე, როგორც ყავლგასულ ორგანიზაციაზე. კლინტონს ვინღა დაუჭირა მხარი? როგორც მოსალოდნელი იყო — **ლათინოსებმა, ჰომოსექსუალებმა, აფროამერიკელების 88 %-მა (!) და თეთრკანიანების მხოლოდ 37 %-მა! კლინტონს მხარი დაუჭირეს, აგრეთვე, მარიხუანის ლეგალიზაციის და აბორტების მომხრეებმა და იმათ, ვინც ეკლესიაში არ დადის!** კლინტონის მხარდამჭერებიდან საინტერესოა ორი, მსოფლიოში ცნობილი მომღერლის — ბარბრა სტრაიზანდის და მადონას პოზიცია. პირველმა ამომრჩევლის დაშანტაჟება გადაწყვიტა და გამოაცხადა: ტრამპის არჩევის შემთხვევაში ამერიკას დავტოვებო (მაინც რა პლაგიატები არიან ეს ამერიკელები — არჩევნებთან დაკავშირებული ყველა ნოუ ჰაუ თუ მამაძაღლობა ჩვენგან გადაიღეს. ბარბრამაც იცოდა, ნაღდად იცოდა ბიძინას 2013 წლის მუქარის შესახებ: მარგველაშვილს თუ არ აირჩევთ პრეზიდენტად, საქართველოდან წავალო!). უშრეტი სექსუალური ენერგიის მქონე უბერებელმა 58 წლის მადონამ კი გაცილებით უფრო ეფექტური ხერხი მოიფიქრა — კლინტონის მხარდამჭერი ყველა მამაკაცის დასაჩუქრება... მინეტით! მოდი და გაუძელი ცდუნებას და, თუ ბიჭი ხარ, ნუ მისცემ ხმას კლინტონს! ხმების მიზიდვის ამ მეთოდზე ჩვენ (არც გოგორიშვილ-მაჭავარიან-თარხნიშვილს, ვფიქრობ, არც ჟვანიასაც) არავითარი პრეტენზია არა გვაქვს, ეს სუფთა ამერიკული მიგნებაა. ასე იცის ტექნიკურმა პროგრესმა! აქამდე ბევრი გვიკლია, თუმცა, მეორე მხრივ, ჩვენი ნიჭიერების ამბავი რომ ვიცი, არც ამის ათვისება გაგვიჭირდება, პრაქტიკულ მეცადინეობებს, ანუ ტრენინგებს ხომ უფასოდ გვიტარებენ ამერიკაში!

გაყალბებაში (ამომრჩეველთა არარეალური რაოდენობა იქნება ეს, მკვდარი სულები, ზედმეტი ბიულეტენების ჩაყრა თუ ბიულეტენების მიზანმიმართულად გაუქმება) მხილებულნი უნდა ისჯებოდნენ, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავენი, ისევე, როგორც ყალბი ფულის მომჭრელები და ხაზინის ქურდები. ყველაზე მკაცრად კი, ცხადია, კომისიის თავმჯდომარე უნდა დაისაჯოს.

ერთი სიტყვით, **ტრამპის წინასაარჩევნო საგარეო თუ საშინაო დაპირებების** (მსოფლიო ჟანდარმობაზე ხელის აღება, რუსეთთან მოლაპარაკებების გზით დაძაბულობის შემცირება, აქცენტების გადატანა ამერიკელების პრობლემების მოგვარებაზე — სამუშაო ადგილების შექმნაზე და ჯანდაცვის გაუმჯობესებაზე, მოზღვავებული იმიგრაციისგან თავის დაცვაზე) **ერთობლიობით თუ ვიმსჯელებთ, იგი მისაღები უნდა იყოს არა მარტო ამერიკელებისთვის, არამედ — დანარჩენი მსოფლიოს მოსახლეობისთვისაც.** საშინაო დაპირებებთან დაკავშირებით, სავარაუდოდ, იგი მოახერხებს კიდეც სიტყვის შესრულებას, მაგრამ აი, საგარეო საკითხებს რაც შეეხება, ვეჭვობ, რომ მან შეძლოს დაპირებული კურსის გატარება და იმ ყოვლისშემძლე ძალებთან გამკლავება, რომლებიც კლინტონს უჭერდნენ მხარს და, რომლებიც განსაზღვრავენ საგარეო პოლიტიკასაც. ხალხმა კი გაამარჯვებინა ტრამპს არჩევნებში, მაგრამ სახელმწიფოს მართვაში, ყველგან, ხალხი უკვე ნაკლებად მონაწილეობს (გამონაკლისი მხოლოდ კადაფის ლიბია იყო, რომელსაც სამართლიანად ეწოდებოდა ხალხის, მასების რესპუბლიკა — ჯამახირია), აქ უკვე სხვა ძალებს, ძირითადად, ფინანსურს მიჰყავთ პარადი. რაც შეეხება ამერიკის პოლიტიკას საქართველოსთან მიმართებაში, არა მგონია, რამე შეიცვალოს არსებითად — ამერიკის ელჩები ისეთივე დავალებებს მიიღებენ ვაშინგტონიდან, როგორსაც აქამდე იღებდნენ, ანუ ისევ ისე, უცერემონიოდ ჩაერევიან „მეგობრული რჩევებით“ ჩვენს შინაურ საქმეებში — პარლამენტ-მთავრობის დაკომპლექტება იქნება ეს თუ რუსეთთან კონფრონტაცია-მოლაპარაკება.

ალბათ, ზოგიერთი იტყვის: კლინტონი იქნება, ტრამპი თუ სხვა, ამერიკას რა უჭირს, იგი როგორმე მიხედავს თავის თავს, ჩვენ ჩვენისა ვთქვათო, რაც, თითქოს, სწორია, მაგრამ ამერიკის არჩევნებს ვერაფრით ვერ ავუვლით გვერდს, რადგანაც იქ თუ ირღვევა თამაშის (არჩევნების) წესები, თანაც, კაი გვარიანად და ამას არავითარი შესაბამისი რეაგირება არ მოსდევს, ვითომ, ჩვენთან რატომ არ დახუჭავენ თვალს დარღვევებზე, თუკი ეს ამერიკის ინტერესებში იქნება, თუკი ამ დარღვევების წყალობით შესაძლებელი გახდება ჩვენი პარლამენტის და მთავრობის დაკომპლექტება ამერიკის შემოთავაზებული და მისთვის მისაღები კანდიდატებით ?! რაც თავი გვახსოვს „დამოუკიდებელ“ საქართველოში ყველა არჩევნები გაყალბდა (პირველის გარდა, როცა ზვიად გამსახურდია ავირჩიეთ), მაგრამ არ გვახსოვს დასავლეთიდან მოვლენილ, სპეციალურად შერჩეულ დამკვირვებლებს, უფრო ზუსტად, დასკვნების დამწერ მათ ხელმძღვანელებს ხმა ამოეღოთ. ძველ არჩევნებს თავი დავანებოთ და მხოლოდ 2016 წლის 8 ოქტომბერს ჩატარებულზე შევჩერდეთ.

**არჩევნებამდე კარგა ხნით ადრე ისეთ თვალშისაცემ, წარმოუდგენლად უხეშ სიყალბეზე დახუჭეს თვალები დასავლეთიდან მომაგრებულმა დამკვირვებლებმა (შინაურებზე აღარ ვლაპარაკობ), რომ უშუალოდ არჩევნების დროს დაშვებულ გაყალბებებზეც რომ აღარ გაახელდნენ, ცხადი იყო.**

2014 წლის ბოლოს ჩატარებული საყოველთაო აღწერით საქართველოს მოსახლეობა 3 713 804 კაცს შეადგენდა, ამომრჩეველთა რაოდენობა ცესკოს მონაცემებით კი — 3 537 884-ს, ანუ 95 %-ზე მეტს (95.3%), რაც ყოვლად შეუძლებელია, ასეთი პროცენტული თანაფარდობა არ არსებობს არც ერთ სახელმწიფოში! ეს შეუძლებელია თავად აღწერის მონაცემებითაც, რადგანაც საქსტატის მონაცემებით საქართველოში 18 წლამდე ასაკის 841 000 ადამიანი ცხოვრობს, რაც იმას ნიშნავს, რომ **საქართველოში 2 872 804 ამომრჩეველია და არა — 3 537 884, ანუ მთელი 665 080-ით ნაკლები!**

ძნელი იყო ასეთი მარტივი გაანგარიშების გაკეთება? ან, ის არ იციან დამკვირვებლებმა, რომ ამომრჩეველთა რაოდენობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება 95%-ის სიახლოვესაც კი რომ იყოს? რა თქმა უნდა, ყველაფერი შესანიშნავად იციან. აშკარაა, რომ 665 000 ამომრჩევლის დამატება გარკვეულ, არაკეთილსინდისიერ მიზნებს ემსახურებოდა და იგი ხელს აძლევდა როგორც ხელისუფლებას, ისე ჩვენს „პარტნიორ“ და „მეგობარ“ სახელმწიფოსაც.

გვარწმუნებენ, რომ არჩევნებში მონაწილეობა 1 800 000-მდე ადამიანმა მიიღო. შესაძლოა, ასეც იყო, მაგრამ ამის დამადასტურებელი ობიექტური დოკუმენტი არაფერი არ გაგვაჩნია, ცესკოს მონაცემების გარდა. მაგრამ, რამდენად სანდოა ეს მონაცემები? როცა ხმის მისაცემად უბნებზე მისულ ადამიანთა ზუსტ რაოდენობას ვიდეოთვალი არ აფიქსირებს (ან დაფიქსირებასაც რა აზრი აქვს, თუკი გადამოწმების საშუალებას არ მოგცემს ცესკო!), როცა მთაწმინდის ერთ-ერთ უბანზე 100 (2x50 შეკვრა) გადამალული ზედმეტი ბიულეტენი აღმოუჩინეს ნაცმოძრაობის წარმომადგენელს, როცა საარჩევნო სიაში 665 000 ზედმეტი ამომრჩეველია მიწერილი და, როცა 292 საეჭვო უბნიდან ცესკო (სასამართლოც) ერთადერთი უბნის ბიულეტენების გადათვლის უფლებასაც არ იძლევა ბურჯანაძის „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ დასაბუთებული მოთხოვნის მიუხედავად, ძალიან ბრიყვი უნდა იყო კაცი ცესკოს „პატიოსან“ სიტყვას რომ ენდო.

**რომელი ჭკუათამყოფელი დაიჯერებს, რომ 3 700 საარჩევნო უბნიდან მხოლოდ ერთ, მთაწმინდის უბანზე იქნებოდა ზედმეტი ბიულეტენების ჩაყრის მცდელობა?** განა ვინმეს შეუძლია დარწმუნებით თქვას, რომ მიცემული ხმები სწორად დახარისხდა პარტიებისდა მიხედვით ან, **განა საინტერესო არ არის, რა შემთხვევებში და რომელი პარტიის სასარგებლოდ უქმდებოდა ბიულეტენები, რომელთა რიცხვმა 137 000 (!), ანუ 7.6%(!) შეადგინა?**

თუნდაც **იმის დაჯერება როგორ შეიძლება, რომ პარტიამ, რომლის საგარეო კურსსაც** (რუსეთთან მოლაპარაკების დაწყებას მაღალ დონეზე და ურთიერთობის ნორმალიზაციას) **პროსახელისუფლებო, პროამერიკული ენ-დი-აის გამოკითხვებითაც კი მოსახლეობის 30%-ზე (!) მეტი ემხრობა, საარჩევნო 5%-იანი ბარიერი ვერ გადალახა და,** რომ მან ხმების მხოლოდ 3.5% მიიღო!

**არჩევნების პატიოსნად ჩამტარებელი ნებისმიერი საარჩევნო კომისია არც ერთი უბნის ხმების გადათვლაზე უარს არ იტყოდა** და, ვინაიდან ცესკომ ერთი(!) უბნის გადამოწმებაზეც კი ხელები გაასავსავა, ცხადი ხდება, რომ **ადრე თუ გვიან ნაციონალების „საქმენი საგმირონის“ სრულყოფილ გამოძიებასთან ერთად, ცესკოს თავმჯდომარის საქმიანობის სამართლებრივი შესწავლაც უნდა დადგეს დღის წესრიგში.**

თუ გვსურს არჩევნების გზით რაღაც წარმატების მიღწევა, მარტო საარჩევნო კოდექსის და საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესის შეცვლა არ იკმარებს. უპირველესად, პარლამენტს უნდა მივაღებინოთ კანონი, რომლის ძალითაც **გაიოლდება დეპუტატების გამოწვევის პროცედურა.** ეს კანონი პარლამენტარებს არ მისცემს არხეინად ყოფნის საშუალებას და აიძულებს ყური დაუგდონ ამომრჩევლის მოთხოვნებს.

საარჩევნო ბარიერთან ახლოს მყოფი პარტიებისთვის საარჩევნო კოდექსი აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს **საარჩევნო უბნების მონაცემების გადამოწმების უფლებას (მინიმუმ 10 უბნის) პარტიების მხოლოდ წერილობითი მოთხოვნით, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე(!),** და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში კიდევ დამატებითი 10 უბნის და ა.შ., შემდგომი კორექტივების შეტანით ცესკოს საბოლოო შედეგებში.

**გაყალბებაში** (ამომრჩეველთა არარეალური რაოდენობა იქნება ეს, მკვდარი სულები, ზედმეტი ბიულეტენების ჩაყრა თუ ბიულეტენების მიზანმიმართულად გაუქმება) **მხილებულნი უნდა ისჯებოდნენ, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავენი,** ისევე, როგორც ყალბი ფულის მომჭრელები და ხაზინის ქურდები. ყველაზე მკაცრად კი, ცხადია, კომისიის თავმჯდომარე უნდა დაისაჯოს.

**ყველა, 3 700-ვე უბანზე უნდა დამონტაჟდეს ორ-ორი ვებკამერა, რათა არჩევნების მიმდინარეობაზე დაკვირვება თითოეულმა მოქალაქემ სახლიდან გაუსვლელად შეძლოს** (ისევე, როგორც ეს რუსეთშია დაკანონებული).

თუკი ზემოთ ჩამოთვლილი ზომები პარლამენტმა კანონების სახით პირველივე წელს (პრეზიდენტის არჩევნებამდე) არ მიიღო (და ჩვენც ვერ ვაიძულეთ!), მაშინ, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ არც დარჩენილ სამ წელიწადში მიიღებს და, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების იმედიც ტყუილად ნუღარ გვექნება!






**იაკობ ლეჟავა,**
15 ნოემბერი, 2016

## მთავარი პროკურატურა:
# უკანონოდ მსჯავრდებულთა გამართლების პროცესი შეუქცევადი იქნება!

### პროკურატურამ სამ გახმაურებულ საქმეზე განაჩენების გადასინჯვის გადაწყვეტილება მიიღო





**საქართველოს მთავარი პროკურატურის მუშაობის შედეგად, პროკურორის დადგენილების საფუძველზე განაჩენის გადასინჯვის გადაწყვეტილება მიღებულ იქნა სს „ეი-ი-ეს" თელასის ფინანსური დირექტორის ნიკოლოზ ლომინაძის მკვლელობაში მსჯავრდებულების: გიორგი და ნოდარ გვიჩიანების, ნიკა ჩემიას, ავთანდილ ხერკელაძის, გიორგი პაპაჩაშვილის მიმართ. ასევე, გენერალ თამაზ ნინუას და მისი მეუღლის ეთერ ნინუას მკვლელობისთვის მსჯავრდებულის თამაზ გოგიას და კოდორში განვითარებული მოვლენების დროს დაკავებული მსჯავრდებულის ნორა კვიციანის მიმართ.**

ამ გადაწყვეტილების მიღებამდე, აღნიშნულ საქმეებზე, ჩატარდა ხელახალი სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება, დაიკითხნენ ახალი მოწმეები, ჩატარდა ათეულობით საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, შესწავლილ იქნა საგამოძიებო და სასამართლო საქმის მასალები, მოპოვებულ იქნა ახალი მტკიცებულებები და ფაქტები, რის საფუძველზეც გამოძიებამ თითოეულ ამ საქმეში მოიპოვა უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლითაც გამოირიცხა ხსენებული პირების მიერ იმ დანაშაულის ჩადენის ფაქტი, რისთვისაც ისინი მსჯავრდებულები არიან.

2006 წლის 15 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი იქნა გამამტყუნებელი განაჩენი, რომლის მიხედვით გიორგი გვიჩიანი, ნოდარ გვიჩიანი, ნიკა ჩემია, ავთანდილ ხერკელაძე და გიორგი პაპაჩაშვილი ცნობილი იქნენ დამნაშავეებად ნიკოლოზ ლომინაძის დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტზე.

სასამართლომ უდავო ფაქტად მიიჩნია ის, რომ ნიკოლოზ ლომინაძის მკვლელობა მოხდა მაყუჩიანი „მაკაროვის" სისტემის იარაღით. ხელახალი გამოძიების ფარგლებში ჩატარებული კომპლექსურ-კომისიური, ფიზიკო-ტექნიკური და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, გარდაცვლილის სხეულზე არსებული ჭრილობის სურათის მიხედვით, კატეგორიულად გამორიცხავს სასამართლოების მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას — ნიკოლოზ ლომინაძის მაყუჩიანი იარაღით მკვლელობის თაობაზე; გარდა ზემოაღნიშნულისა, სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში დაიკითხნენ ახალი მოწმეები, რომლებიც ცალსახად უთითებენ ნიკოლოზ ლომინაძის მკვლელობის ფაქტზე მსჯავრდებულების უდანაშაულობის შესახებ.

ნიკოლოზ ლომინაძის მკვლელობის საქმეზე იმჟამად გამოძიებას აწარმოებდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. ვინაიდან, ნიკოლოზ ლომინაძის მკვლელობის საქმის გახსნით დაინტერესებული იყვნენ მაღალი რანგის სახელმწიფო თანამდებობის პირები, სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას ხელოვნურად შეიქმნა მთელი რიგი მამხილებელი მტკიცებულებები, რაც გიორგი გვიჩიანის, ნოდარ გვიჩიანის, ნიკა ჩემიას, ავთანდილ ხერკელაძისა და გიორგი პაპაჩაშვილის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის საფუძველი გახდა. ხელახალი გამოძიებისას კი გამოვლინდა არაერთი გარემოება, რაც სასამართლოების განაჩენებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისგან განსხვავებულ სურათზე მიუთითებს.

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის გადაწყვეტილება მიღებულ იქნა გენერალ თამაზ ნინუას და მისი მეუღლის ეთერ ნინუას მკვლელობისთვის მსჯავრდებულის თამაზ გოგიას მიმართ, რომელსაც 2010 წლის 13 აგვისტოს განაჩენით მკვლელობისთვის 17 წლით თავისუფლების აღვეთა მიესაჯა.

თამაზ გოგია მსჯავრდებულ იქნა, მასზედ რომ 2009 წლის 11 ნოემბერს, თბილისში მიცკევიჩის ქუჩაზე მდებარე გენერალ თამაზ ნინუას საცხოვრებელ ბინაში, კომპანიის წილებთან დაკავშირებით წარმოშობილი დავის გამო, მან მაყუჩიანი იარაღიდან გასროლით, ანგარებით მოკლა ჯერ თამაზ ნინუა, ხოლო შემდგომ კვალის დაფარვის მიზნით მისი მეუღლე ეთერ ნინუა.

თამაზ გოგიას მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას საფუძვლად დაედო ქიმიური ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმადაც დენთის შემადგენელი კომპონენტის ფუნქციონალური ჯგუფის $NO_2$-ის არსებობა დაფიქსირდა თამაზ გოგიას მარჯვენა და მარცხენა ხელის ანაწმენდზე, რაც გახდა მთავარი მტკიცებულება თამაზ გოგიას მიმართ მკვლელობაში მსჯავრდებისთვის.

ახალი გამოძიების პირობებში, 2016 წლის 06 ივლისს, ლ. სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის მიერ გაცემულ იქნა კომისიური ქიმიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელმაც გამორიცხა თამაზ გოგიას ხელის ანაწმენდებზე დენთის კვალის არსებობის ფაქტი და ეჭვქვეშ დააყენა ხსენებული მტკიცებულების რელევანტურობა.

გარდა ამისა, ახალი გამოძიებით გამოიკვეთა ის გარემოება, რომ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებს გაჩნდათ არალეგიტიმური დაინტერესება თამაზ გოგიას მიმართ, რათა მას ხელოვნურად შერაცხოდა თამაზ და ეთერ ნინუების მკვლელობის ფაქტი. ამ მიზნით სისხლის სამართლის საქმეში ხელოვნურად შეიქმნა მისი მამხილებელი მტკიცებულებები, რომლებიც გაბათილდა და ეჭვქვეშ დადგა ახალი გამოძიებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით.

ასევე, პროკურატურამ განაჩენის გადასინჯვის გადაწყვეტილება მიიღო და ახლად გამოვლენილი გარემოებები გამოარკვია ნორა კვიციანის საქმეზე. კერძოდ, გამოძიებით დადგინდა, რომ ნორა კვიციანს სამართალდამცავებმა თავისუფლება აღუკვეთეს უკანონოდ და მას ბრალდება წარუდგინეს ყალბი მტკიცებულებების საფუძველზე.

2006 წლის 25 ივლისს, კოდორში განვითარებული მოვლენების დროს, ბატალიონ „მონადირის" ხელმძღვანელის ემზარ კვიციანის და მისი თანამებრძოლების დაკავების მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული დანაყოფები შევიდნენ კოდორის ხეობაში, სადაც ნათესავებთან ერთად იმყოფებოდა ემზარ კვიციანის და ნორა კვიციანი, რომელსაც არანაირი წინააღმდეგობა სამართალდამცავებისთვის არ გაუწევია. მიუხედავად ამისა, ნორა კვიციანის ადგილობრივი მოსახლეობის და კოდორისგან ჩამოცილების და გაქცეულ ემზარ კვიციანზე ზემოქმედების მოხდენის მიზნით, სამართალდამცავებმა გადაწყვიტეს ნორა კვიციანის შეპყრობა.

კოდორის ხეობის დაკავებიდან მეორე დღეს, 27 ივლისს, შს სამინისტროს კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთეს ნორა კვიციანს და ყოველგვარი დაკავების ოქმის შევსების და სამართლებრივი პროცედურების დაცვის გარეშე, მისი უფლებების უხეში დარღვევით, იგი გადაიყვანეს თბილისში მოდულის შენობაში და მხოლოდ 29 ივლისს, მისი შეპყრობიდან 2 დღის შემდეგ დაიწყეს ყალბი მტკიცებულებების შექმნით პროცესების სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა.

კერძოდ, სამართალდამცავების ოფიციალური ვერსიით, ნორა კვიციანის დაკავება თითქოს მოხდა 29 ივლისს, მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის ამოღების შემდეგ. მაშინ როდესაც ახალი გამოძიებით დადგინდა, რომ ნორა კვიციანის საცხოვრებელ ბინაში არანაირი ჩხრეკა არ ჩატარებულა, ჩხრეკაში მონაწილე სამართალდამცავები კოდორის ხეობაში საერთოდ არ ყოფილან და კოდორის ხეობაში მათი შესვლისას მისი საცხოვრებელი სახლი ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან სიტუაციის მართვის შტაბად გამოიყენებოდა, ნორა კვიციანი კი უკანონოდ თავისუფლებააღკვეთილი მოდულის შენობაში ჰყავდათ გადაყვანილი.

**ნორა კვიციანის ბრალდების დამძიმების და მისთვის მძიმე სასჯელის დაკისრების მიზნით, მას ასევე წარუდგინეს მითვისების ცრუ ბრალდება, თითქოს 2005 წელს, მან ჰუმანიტარული საქონელი ნაცვლად სოფელ ჩხალთის მოსახლეობისთვის დარიგებისა, თავად მიითვისა და ასევე თითქოს იგი მოუწოდებდა ბატალიონ „მონადირის" წევრებს, არ დამორჩილებოდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას. აღნიშნული ბრალდებები სრულად იქნა გამორიცხული ახალი გამოძიებით და დადასტურდა ნორა კვიციანის უდანაშაულობა წარდგენილ ბრალდებებში. ცრუ ბრალდების საფუძველზე ნორა კვიციანმა საპატიმრო დაწესებულებაში 6 წელი გაატარა და მისი გათავისუფლება მხოლოდ ხელისუფლების ცვლილების შემდეგ 2012 წლის ნოემბერში მოხერხდა.**

ახალი გამოძიების პროცესში მოპოვებული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ მსჯავრდებულების მიმართ ბრალად შერაცხულ დანაშაულებრივ ქმედებას ადგილი არ ჰქონია, რის გამოც ყველა მსჯავრდებულის მიმართ პროკურატურის მიერ გამოტანილია დადგენილებები მსჯავრდებულის უფლების დარღვევის თაობაზე, რის საფუძველზეც ჩვენ მივმართავთ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენების გადასინჯვის მოთხოვნით.

პროცესს, რომელიც მთავარ პროკურატურაში შექმნილმა ახალმა დეპარტამენტმა დაიწყო, რაც უკავშირდება უკანონოდ გასამართლებული პირების განაჩენების გადასინჯვას და მათი დარღვეული უფლებების აღდგენას, შეუქცევადი ხასიათი ექნება.



**ამირან ფიცხელაური**

# ამოღებულია განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი

**შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1956 წელს დაბადებული ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე ჰ. ქ. თბილისში დააკავეს.**



სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი და დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ნარკოტიკული საშუალება „მეტადონის" 22 აბი და აბის ნატეხები, ბუპრენორფინის შემცველი ნარკოტიკის 22 აბი და 14 შეკვრად დაფასოებული ოპიუმი ამოიღეს.

ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად, ჰ.ქ.-ს ბუპრენორფინის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით).

# კახეთში მაღაზიები და აფთიაქი გაქურდეს




**კახეთში რამდენიმე მაღაზია და აფთიაქი გაქურდეს, კონდოლში და კისისხევში სურსათის მაღაზიებიდან ფული, პროდუქტები და თამბაქო წაიღეს. ინფორმაციას „იბერია" ავრცელებს.**

როგორც დაზარალებულები ამბობენ, მაღაზიები , სავარაუდოდ, გვიან ღამით გაძარცვეს. ერთ-ერთი მაღაზიის მფლობელის თქმით, მისი ზარალი დაახლოებით 4000 ლარს შეადგენს. უცნობია, რა რაოდენობის თანხა ან მედიკამენტები წაიღეს აფთიაქიდან. სავაჭრო ობიექტებისა და აფთაქის მფლობელები გამოკითხვაზე იმყოფებიან.

## 39

***ნათლის მხედარი არცროდის შიშსა და ფახადს არ განიცდის.***

გაქცევა იქნებ დაცვის ჩინებული რამ საშუალებაა, მაგრამ არამც და არამც არ ეგების ამ საშუალების გამოყენება, თუ შიშატანილი ხარ. არჩევნის წინაშე აღმოჩენილი მხედარი დამარცხებას ამჯობინებს და ჭრილობის უკვე მერე მკურნალობას, ვიდრე ბრძოლის ველიდან გაიქცეს და ამით მომხდურს უფრორე დიდი და დაუმსახურებელი ძლევამოსილება მიუზოძოს.

ძნელსა და მწუხარე წუთებში, როცა მოგებას კარგი პირი არ უჩანს, ნათლის მხედარი თვინიერად და ვაჟკაცურად იქცევა, ანუ გმირულად ირჯება.

## 40

***ნათლის მხედარი არცროდის არ ჩქარობს.***

დრო იმის სასარგებლოდ მუშაობს, და რაკი მან ეს იცის, მუდმივად მოუთმენლობას ალაგმვასა და მოუფიქრებელი ნაბიჯებისთვის თავის არიდებას სწავლობს.

ნაბიჯი აუჩქარებელი და მტკიცე აქვს. დარწმუნებულია, რომ ერთხელაც დადგება ჟამი, კაცობრიობის ისტორიისთვის გამაბედიანებელი, და ვიდრე სოფელ-ქვეყანა გარდაიქმნებოდეს, ჯერ თავად თვითონ უნდა შეიცვალოს. ამიტომ იმეორებს იგი ლანსა დელ ვასტოს სიტყვებს: „რათა ფეხი მოიკიდოს, რევოლუციას გარკვეული დრო სჭირდება“.

ნათლის მხედარი არცროდის მკვახე ნაყოფს არ მოწყვეტს.

## 41

***ნათლის მხედარი ერთდროულად მომთმენიც უნდა იყოს და ჩაუქიც.***

არის ორი მთავარი სტრატეგიული შეცდომა: ერთია, როცა აჩქარდები, იმაზე ადრე გამოხვალ, ვიდრე ხელსაყრელი მომენტი დამდგარა, და მეორეა, როცა დააყოვნებ და უკვე დამდგარ ხელსაყრელ მომენტს ხელიდან გაუშვებ.



ამიტომ, რათა ერთსაც თავი აარიდოს და მეორესაც, ნათლის მხედარი თითოეულ შემთხვევას განიხილავს როგორც თავისებურად ერთადერთს და არ სარგებლობს სხვათა მოსაზრებებით, საერთო ფორმულებით და მზამზარეული რეცეპტებით.

ხალიფა მოაუაიტმა ჰკითხა ერთხელ ომირ ბენ ალაისს, მითხარი ერთი, თუ კაცი ხარ, რა საიდუმლოთი აღწევ შენს პოლიტიკურ წარმატებებსო.

„არცროდის არცრა საქმეში არ ჩავრეულვარ, წინასწარ უკუქცევის გზები რომ არ შემესწავლოსო.

მაგრამ, ერთხელ თუ ჩავერეოდი არცროდის ეგრევე გაქცევაზე თვალი არა მჭერიაო“, – მიუგო მან.

## 42

***ნათლის მხედრისთვის უცხო არ არის სევდა.***

ხანჟამისად ეჩვენება, რომ ძალა არ შესწევს თავის სულში სასურველი გრძნობის გასაღვიძებლად.

მრავალი დღე-ღამის განმავლობაში გაიძულებულია, რომ დათრგუნვილ მდგომარეობაში იმყოფოს თავი, და არცრა ახალ მოვლენას არ ძალუძს იმისთვის უწინდელი ზეაღმაფრენის დაბრუნება.

„მაგის ბრძოლა დამთავრებულია“, – სათქმელს არ მალავენ მეგობრები.

ნათლის მხედარს გულსა სტკენს და ერცხვინება ასეთი სიტყვების გაგონება, რამეთუ იცის, რომ მიზნისთვის ჯერ არ მიუღწევია, რომელსაც აგრერიგად მიესწრაფოდა. თუმცაღა იგი შეუპოვარია და თუ რამ დაიწყო, შუა გზაზე არ გაჩერდება.

და იმ ჟამს, როს იგი ასეთ რასმე ყველაზე ნაკლებად ელოდება, იმის წინ განიხვნება ხოლმე ახალი კარი.

## 43

***ნათლის მხედარი სულ იმის ცდაშია, რა არი სიძულვილის გრძნობამ არცროდის გული არ გაუჭუჭყიანოს.***

საბრძოლველად რომ მიდის, ქრისტეს სიტყვები აგონდება: „გიყვარდეთ თქვენი მტრები“ – და ემორჩილება ამ აღთქმას.

მაგრამ მან იცის, რომ მიტევება სულაც არ არის აღქმის ტოლმნიშვნელოვანი. იცის, რომ მეომარმა თავი არ უნდა ჩაქინდროს, თორემ ეგრევე დაკარგავს თავის ოცნებათა თვალსაწიერს.

იმას სულაც არ უჭირს იმის შესაძლებლად მიჩნევა, რომ მტერი იმიტომ არსებობს, რათა გამოსცადოს, რამდენად ვაჟკაცია იგი, რამდენად შეუპოვარია და აქვს თუ არა ამა თუ იმ გადაწყვეტის უნარი.

მტერი იძულებულს ხდის, რომ იბრძოლოს თავისი ოცნებების ასახდენად.

ბრძოლაში მიღებული გამოცდილება სულს უძლიერებს ნათლის მხედარს.




**პორტუგალიური ტექსტი დედნის ბწკარედის მიხედვით გადმოაქენა გურამ გოგიაშვილმა**

## 44

***ნათლის მხედარს მუდამ ახსოვს წარსული.***

იმისთვის კარგად ცნობილია, რა არის სულიერი ძიება, რომლის წყალობითაც ჩაწერილია კაცობრიობის ისტორიაში არაერთი დიდებული, სახელოვანი ფურცელი.

არაერთი სახელოვანი, მაგრამ ამასთანავე არაერთი საზიზღარიც – იქ ასახულია ბნელეთის მოციქულობა, ზორვა-მსხვერპლთ შეწირვა, სისხლიანი ანგარიშის გასწორება. **სულიერ ძიებას** ადამიანები სულ სხვადასხვაგვარი მიზნებისთვის იყენებდნენ, და ნათლის მხედარმა იცის, რარიგ ხშირად შეუნიღბავთ ამ **სულიერი ძიების** იდეალებს ყველაზე საზარელი ჩანაფიქრნი!

ვინ იცის, უკვე რამდენჯერ აქვს მოსმენილი ნათლის მხედარს ასეთი რამ: „საიდან უნდა ვიცოდე, რომ ამ გზას ჭეშმარიტებისკენ მივყავართ?“ ვინ იცის, რამდენი ვინმე უნახავს, ვისაც ამ კითხვაზე პასუხი არ მიუღია და უკუუგდია **სულიერი ძიება.**

მაგრამ ნათლის მხედარს ეჭვი არც ეპარება, რამეთუ ის სწორი და ზუსტი ფორმულით ხელმძღვანელობს.

„ხე ნაყოფით შეიცნობაო“, – ბრძანა იესომ. ნათლის მხედარი ამ წესს მისდევს და არცროდის არა ცდება.

## 45

***ნათლის მხედარმა იცის, რაოდენ მნიშვნელოვანია ზეშთაგონება.***

ფიცხელ ბრძოლაში, როცა არ არის იმაზე ფიქრის დრო, როგორ მოიგერიო მტრის ესა თუ ის დარტყმა, ნათლის მხედარი ზეშთაგონებით მოქმედებს და თავისი მფარველი ანგელოზის სიტყვებს ემორჩილება.

მშვიდობიანობის ჟამს უფლისგან გამოგზავნილ მინიშნებათა აზრის ამოცნობას უკირკიტებს.

„შეშლილია“, – ამბობენ ერთნი.

„ჰაერის კოშკებს აგებს“, – ამბობენ სხვანი.

„როგორ ენდობა იმას, რაც ლოგიკას მოკლებულია?“ – საგონებელში არიან მესამენი.

მაგრამ ნათლის მხედარმა იცის: ზეშთაგონება ანბანია, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია უფლის განგებულების წაკითხვა და ამიტომ განაგრძობს ქარის ხმის ყურისგდებასა და ვარსკვლავებთან მასლაათს.

## 46

***ნათლის მხედარი თავის ამხანაგებთან ერთად კოცონს უზის.***



ისინი თავ-თავიანთი გამარჯვების ამბებს ჰყვებიან და გულითადად ხვდებიან კოცონთან მოსულ უცხოქვეყნელთ, რამეთუ სუყოველი იმათგანი ამაყობს თავისი ცხოვრებით და *სამართლიან ბრძოლაში* მონაწილეობით. ნათლის მხედარი აღფრთოვანებული ლაპარაკობს თავის გზაზე, კოცონის გარშემო შემორიგებულთ უამბობს, როგორ ხვდებოდა ამა თუ იმ გამოწვევას, რა პასუხი ჰქონდა თითოეულ გამოწვევაზე, რა გადაწყვეტილება უმწიფდებოდა გულში სუყოველ მძიმე წუთს. და როს იგი ამ ამბებს უთხრობს, თითოეული იმისი სიტყვა გამსჭვალულია რომანტიზმითა და ვნებათაღელვით.

იგი თავის თავს ზოგჯერ მცირეოდენი გაზვიადების ნებას აძლევს, რადგან ახსოვს, რომ წინაპართაც ჟამიჟამ უყვარდათ ასეთი რამ.

ამიტომ ის ამაში მაინცდამაინც დიდ ცოდვას ვერა ხედავს.

მაგრამ იგი არასოდეს პატივმოყვარეობაში არ ურევს სიამაყეს და ხანდახან თავადაც არა სჯერა საკუთარი გამონაგონი.

## 47

***ნათლის მხედარს ხან მოესმის: „დიახ, სანამ გადავწყვეტდე რასმე, ყველაფერი უნდა გავიგო.***

ჩემი სურვილია ჩემი მოსაზრებების შეცვლის უფლებას ვფლობდე“.

მხედარი საგონებელში ჩავარდნილი აღიქვამს ასეთ სიტყვებს. თვითონაც შეუძლია ფლობა ამგვარი თავისუფლებისა, მაგრამ ეს ხელს არ შეუშლის მავან ვალდებულებათა შესრულებაში, თუმცა მთლად გარკვევით ვერ აცნობიერებს, რატომ იქცევა აგრე.

ნათლის მხედარი გადასაწყვეტს წყვეტს. სული ისევე ლაღი აქვს, როგორი ლაღიც ღრუბელია ცაში, მაგრამ თავად შებორკილია თავისი ოცნებით. კეთილი ნებით არჩეულ თავის გზაზე ისეთ დროს ფხიზლდება, რა დროც არ სიამოვნებს, ხანაც ისეთ ადამიანებთან უხდება ლაპარაკი, რომელთაც ერთი მისხლითაც არ ძალუძთ იმისი ცნობიერების გამდიდრება. ზოგჯერ არც მსხვერპლზე წასვლა ეუცხოება.

„შენ თავისუფალი არა ხარ“, – ეუბნებიან მეგობრები.

არადა ნათლის მხედარი თავისუფალია. უბრალოდ მან იცის, რომ კარღია ღუმელში პურს ვერ გამოაცხობ.

## 48

***რითაც არ უნდა იყო დაკავებული.***
***რასაც არ უნდა შვრებოდე, მუდამ გახსოვდეს:***

მიზნის მისაღწევად აუცილებელია ლოდინი საჭირო საშუალებათა და იმ შესაძლებლობისა, რომელიც შენ წინაშე დასმულ ამოცანას გადაგაწყვეტინებს. „ნაყოფს მხოლოდ ის უარყოფს, ვისაც, სათანადოდ აღჭურვილს, მცირეოდენი სურვილიც არა აქვს, რომ გამარჯვების შედეგებით ისარგებლოს და ბრძოლის ჟამს საკუთარ ფიქრებშია ჩაძირული.

შესაძლებელია ნაყოფის უარყოფა, მაგრამ ეს უარი სულაც არ ნიშნავს შედეგის მიმართ გულგრილობას“.

ნათლის მხედარი მოწიწებით ისმენს განდის ამ შეგონებას. და თავგზას არც იმათ აბნევინებს, ვისაც არც რამე შედეგის მიღწევის თავი აქვს და თანაც კიდევ ხმამაღლა აცხადებს, როგორ დაეუარა ამა თუ იმ შედეგს.

## 49

***ნათლის მხედარი ყურადღებას არ აკლებს წვრილმანთ, რამეთუ იცის – ისინი არცთუ იშვიათად არღვევენ მოვლენათა ჩვეულ მსვლელობას.***



ერთ ციცქნა ხიწვს შეუძლია გზა შეაწყვეტინოს მგზავრს, შეუიარაღებელი თვალით უხილავ უჯრედს – დაშალოს ჯანმრთელი ხორცი. წარსულში განცდილი წამიერი შიშის გახსენება ძალიან დიდხანს არ გაგანებებს თავს. დახანება, თუნდაც ერთი წამი გაგრძელდეს, მკერდს გადაუხსნის ნათლის მხედარს მტრების განმგმირავი დარტყმისთვის. გამოცდილი მეომარი არცროდის არ უგულებელყოფს წვრილმანებს.

ამის გამო ის ხანდახან ძალიან მკაცრი ხდება თავისი თავის მიმართ, მაგრამ მოქმედებით სწორედ ამგვარად მოქმედებს.

„ეშმაკი წვრილმანებში ბინადრობს“ – ამბობს ძველი ანდაზა.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №212-215

2008: რუსეთ-საქართველოს ომი

# სტრასბურგის სასამართლო მიდგომებს არ ცვლის

**რუსეთის მხრიდან რომის სტატუტზე უარის თქმა 2008 წლის ომის საქმის გამოძიებაზე არ იმოქმედებს. ამის შესახებ „პირველის“ კითხვაზე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ოფიციალურ პასუხშია ნათქვამი.**

„პირველს“ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს საზოგადოებრივ საქმეთა განყოფილებიდან ოთხშაბათს აცნობეს, რომ რომის სტატუტის წევრობა ნებაყოფლობითი და სუვერენული გადაწყვეტილებაა, რომელიც ყველა სახელმწიფოს პრეროგატივაა.

„რუსეთმა რომის სტატუტს ხელი 2000 წელს მოაწერა, თუმცა, არ მოახდინა მისი რატიფიცირება და იგი არ არის რომის სტატუტის მონაწილე. დღევანდელი განცხადებით მდგომარეობა არ შეცვლილა. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო პატივს სცემს თითოეული სახელმწიფოს სუვერენიტეტს. საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთვის აუცილებელია, რათა მან (სასამართლომ) შეასრულოს თავისი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მანდატი გენოციდის, კაცობრიობის წინააღმდეგ და ომის დანაშაულების განმახორციელებლების დაუსჯელობის დასრულებაში დახმარების, ამგვარი დანაშაულის მსხვერპლთა სამართლიანობის უზრუნველყოფისა და შესაძლო ძალადობის პრევენციის ხელშეწყობის მიზნით“, —აცხადებენ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში.

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ხელი მოაწერა განკარგულებას, რომლის თანახმად, რუსეთი საერთაშორისო სასამართლოში რომის სტატუტზე უარს აცხადებს. ამის შესახებ რუსული მედია კრემლის ადმინისტრაციაზე დაყრდნობით იუწყება. რუსეთის პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ინიციატივა რუსეთის იუსტიციის სამინისტროს ეკუთვნის და გადაწყვეტილება ქვეყნის შს უწყებას, უმაღლეს სასამართლოსა და პროკურატურასთან არის შეთანხმებული. როგორც რუსეთის საგარეო უწყება აღნიშნავს, რუსეთს არ შეიძლება, არ ანაღვლებდეს საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მიდგომა და პოზიცია 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მოვლენებთან დაკავშირებით.

„საქართველოს თავდასხმამ მშვიდობიან ცხინვალზე, რუსი სამშვიდობოების მკვლელობამ სასამართლოს გაუღვივა სურვილი, ბრალი დასდოს სამხრეთ ოსეთის მეამბოხეებს და რუსეთის სამხედროებს, ხოლო მიხეილ სააკაშვილის მმართველობის დროინდელი საქართველოს ხელისუფლების ქმედებები გამოსაძებლად ქართულ სამართლებრივ სივრცეშია და საერთაშორისო სისხლის სამართლის ყურადღების მიღმა რჩება“, — ნათქვამია რუსეთის პრეზიდენტის განცხადებაში.



რუსეთის ფედერაციის აღნიშნულ განცხადებას ოფიციალური თბილისი გამოეხმაურა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროში განმარტავენ, რომ რუსეთის აღნიშნული გადაწყვეტილება ამ საქმის გამოძიების დამაბრკოლებელი ფაქტორი არც იყო და ვერც გახდება, ვინაიდან საქართველო არის რომის სტატუტის მხარე და შესაბამისად, საერთაშორისო სისხლის სამართლის იურისდიქცია ვრცელდება 2008 წლის ომის დროს საქართველოში, სავარაუდოდ მომხდარი სტატუტით გათვალისწინებულ დანაშაულებზე.

ჰააგის პროკურორი ფატუ ბენსუდა, რომელიც აღნიშნულ საქმეს იძიებს, საქართველოში 2015 წლის 15 ოქტომბერს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს ჩადენილი, შესაძლო სამხედრო დანაშაულების გამოსაძიებლად ჩავიდა. პროკურორი ვარაუდობს, რომ 2008 წელს ქვეყანაში სამხედრო დანაშაულია ჩადენილი. ჰააგის პროკურორი საომარი მოქმედებების დროს საქართველოში არსებულ ვითარებას შვიდი წლის განმავლობაში სწავლობდა. პროკურორი რუსეთ-საქართველოს ომის დროს ჩადენილ დანაშაულებად ეთნიკური ქართველების სამხრეთ ოსეთიდან განდევნას, „მშვიდობისმყოფელთა მისიის წარმომადგენლებსა და მათ ობიექტებზე თავდასხმას“ მიიჩნევს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2008 წლის აგვისტოს ომის საქმეზე 33 მოწმე დაკითხა. მოწმეთა დაკითხვა სტრასბურგში 2016 წლის 6 ივნისიდან 17 ივნისამდე მიმდინარეობდა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განაგრძობს საქმის განხილვას, რომელიც 2008 წლის 1 ივლისიდან ამავე წლის 10 ოქტომბერის ჩათვლით პერიოდს მოიცავს.

რომის სტატუტი გაეროს ეგიდით ჩატარებულ დიპლომატიურ კონფერენციაზე 1998 წლის 17 ივლისს, რომში მიიღეს. რუსეთმა აღნიშნულ შეთანხმებას ხელი 2000 წლის 13 სექტემბერს მოაწერა. რომის სტატუტი, რომელიც ძალაში 2002 წელს შევიდა, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მთავარი სამოქმედო დოკუმენტია. რუსეთის მიერ დოკუმენტი ამ დრომდე არ იყო რატიფიცირებული. აქედან გამომდინარე, რუსეთზე, ისევე როგორც აშშ-ზე, იაპონიაზე, უკრაინასა და სხვა ქვეყნებზე, საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია არ ვრცელდება.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო ოფიციალურ მუშაობას ჰააგაში, 2002 წელს შეუდგა და პირველი მუდმივმოქმედი სასამართლო გახდა. 2016 წლის 27 იანვარს საერთაშორისო სისხლის სამართლის წინასასამართლო პალატამ მიიღო გადაწყვეტილება საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს პროკურირის მიმართვის საფუძველზე, რომ დაიწყოს გამოძიება ცხინვალის რეგიონში საქართველო და მის ირგვლივ 2008 წლის 1 ივლისიდან 10 ოქტომბრის პერიოდში ჩადენილ დანაშაულებზე.

**სააგენტო „პირველი“**

რუსებს „ეშინიათ“

# საქართველოს არმია ევროპულ სტანდარტებზე გადაჰყავს

**რუსული გამოცემა „Красная звезда“-ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში მიმოხილულია საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე მოვლენები, რომლებიც რეფორმას უკავშირდება: გენშტაბის რეორგანიზაცია, ცვლილებები სახმელეთო, ჰაერსაწინააღმდეგო და სამხედრო-საჰაერო ძალების მართვაში, დაკომპლექტებისა და სამხედრო მოსამსახურეთა სოციალურ უზრუნველყოფაში (ავტორი — ალექსანდრე ალექსანდროვი).**

სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის რეზიუმეს:

**„საქართველოს თავდაცვის მინისტრის ლევან იზორიას მიერ წარდგენილი რეფორმების პროგრამა უზრუნველყოფს ქართული არმიის ადაპტირებას ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სტანდარტებთან. ლევან იზორია თავდაცვის მინისტრის პოსტზე აგვისტოში დაინიშნა, მან თინა ხიდაშელი შეცვალა, რომელიც ევროატლანტიკური ინტეგრაციის მძაფრი მხარდამჭერი იყო. ლევან იზორია სამხედრო სფეროში უშიშროების სამსახურიდან მოვიდა. მისი განცხადებით, „უწყების პრიორიტეტი გონივრული და საღი აზრის პოლიტიკა იქნება“.**

მინისტრმა თავისი მუშაობის 100-დღიანი ანგარიშის წარდგენისას აღნიშნა, რომ რეფორმა უპირატესად გენშტაბის სტრუქტურებში განხორციელდება, რომლის მიხედვით, ამ ორგანოს უფლებამოსილება შეიკვეცება. ბუნებრივია, ხელმძღვანელები სამხრეებზე „ვარსკვლავებსაც“ დაიკერებენ. და რადგანაც, თავდაცვის მინისტრის თქმით, **გენერალური შტაბის ახალი სტრუქტურა ნატოს სტანდარტების მიხედვით ჩამოყალიბდება, შესაბამისად, სამეთაურო შემადგენლობაც 30%-ით შემცირდება. ექსპერტთა აზრით, შესაძლოა, რეფორმამ უკმაყოფილება გამოიწვიოს: გენშტაბის სისტემაში არსებული რამდენიმე დეპარტამენტი გაუქმდება, მათ ნაცვლად კი სამსახურები ან სამმართველოები ჩამოყალიბდება, შესაბამისად, მათი სტატუსი დაიწევს და უფლებამოსილება შეიკვეცება. უკვე სამსახურიდან გათავისუფლდა გენშტაბის უფროსის ორი მოადგილე. „საერთოდ კი, საქართველოს არმიაში ამჟამად 155 უფროსი ოფიცერი (პოლკოვნიკი) მსახურობს, რაც, ლევან იზორიას აზრით, ძალიან „გაბერილი რაოდენობაა“. მინისტრმა აღნიშნა, რომ ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში უფროსი ჩინის მქონე ოფიცრების ოპტიმალური რაოდენობა ასს არ უნდა აჭარბებდეს“, —** წერს ავტორი.



შემცირდება აგრეთვე სახმელეთო სამხედრო ქვედანაყოფების — ბრიგადების რაოდენობა: ამჟამად არსებული ხუთი ბრიგადიდან (ოთხი ქვეითი და ერთი მექანიზებული) ოთხი დარჩება. როგორც ჩანს, გაუქმდება ერთი ქვეითი ბრიგადა. დაგეგმილია მათი დისლოკაციის შეცვლაც.

**კაცმა რომ თქვას, ეს გეგმები მოულოდნელი არ ყოფილა. საქართველოს უშიშროების საბჭოში ჯერ კიდევ სექტემბერში იქნა წარდგენილი ცვლილებების გეგმა, რომელიც ოთხ წელზეა გათვლილი. დოკუმენტში გათვალისწინებულია სამხედრო თანამშრომლობის გაღრმავება აშშ-სთან, რომლის მიხედვით, 2017 წელს სამ ქართულ ბატალიონს ამერიკელები მოამზადებენ. გეგმის მიხედვით, ქართული არმიის რაოდენობა 2017 წლისათვის იგივე დარჩება — 37 ათასი სამხედრო მოსამსახური.**

სიახლეა სავალდებულო სამხედრო გაწვევის აღდგენაც, რომელიც წინა მინისტრმა თინა ხიდაშელმა ხუთი თვის წინათ გააუქმა. ლევან იზორიამ თავისი გადაწყვეტილება შემდეგნაირად ახსნა: ახალწვეულებს სამხედრო უნარ-ჩვევების დაუფლებაში კონტრაქტზე მყოფი სამხედრო მოსამსახურეები დაეხმარებიან. სხვათა შორის, ახალწვეულებს მინისტრი შეღავათებსა და პროფესიულ ზრდას დაპირდა: ყოველთვიურად მათი „ხელფასი“ 7-დან 50 ლარამდე მოიმატებს, ექნებათ გამოსასვლელი (დასასვენებელი) დღეებიც.

**საქართველოს არმიის განვითარების პრიორიტეტად თავდაცვის სამინისტრო სამხედრო-საჰაერო ძალების რეფორმირებასა და გადაიარაღებას მიიჩნევს. ამ საკითხში თბილისი ნატოს მხარდაჭერას იმედოვნებს. როგორც ქართული მასმედია იტყობინება, უკვე მიღწეულია შეთანხმება თბილისსა და პარიზს შორის ფრანგული საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის VL MICA-ს შესყიდვის თაობაზე: საქართველოს იმედი აქვს, რომ ამ იარაღით თავის ტერიტორიას ფრთოსანი რაკეტებისა და მართვადი ავიაბომბებისაგან დაიცავს. რაც შეეხება ავიაპარკს, თანხების უკმარისობის გამო მისი განახლება გათვალისწინებული არ არის. ამავე მიზეზით ვერ აღორძინდება სამხედრო-საზღვაო ძალებიც,** — აღნიშნულია სტატიაში.

**„ნიუსპრესი“**

მსოფლიოს სიახლენი

## ალეპოში საავადმყოფო დაბომბეს და ბავშვები ამოხოცეს!



**სირიაში კიდევ ერთი ტრაგედია დატრიალდა. ალეპოში საავადმყოფოზე მიტანილი ავიაიერიშის შედეგად ბავშვები დაიღუპნენ.** ინფორმაციას ლონდონში ბაზირებული სირიის ადამიანის უფლებების დაცვის ორგანიზაცია ავრცელებს. უფლებადამცველების თქმით, ავიადარტყმები სირიის სამთავრობო ძალებმა განახორციელეს.

## უკრაინამ ახალი რაკეტა გამოსცადა



**უკრაინაში ადგილობრივი წარმოების ე.წ. „საშინელი რაკეტა“ გამოსცადეს. ვიდეომასალა პრეზიდენტ პოროშენკოს ერთ-ერთმა მრჩეველმა გაავრცელა.** პრეზიდენტის შეფასებით, ზუსტი სამიზნის მქონე რაკეტის გამოცდა წარმატებული გამოდგა. რაკეტის მოქმედების არეალი 60 კილომეტრს შეადგენს. რაკეტას მსხვილი სამიზნეების განადგურება შეუძლია.

◉ ასე იცის ბუნებასთან ბოროტმა თამაშმა

# არალის ზღვა, როგორც ყველა სისტემის მსხვერპლი



**ერთ დროს წყალუხვი მარილოვანი ტბა, არალის ზღვად წოდებული, რომელიც 1970-იან წლებამდე თავისი ფართობით პლანეტაზე დიდ ტბებს შორის მეოთხე ადგილს იკავებდა, დღეს თითქმის აღარ არსებობს — ყაზახეთსა და უზბეკეთს შორის უდაბნოში გაშლილი ამ ტბის ნაცვლად რუკაზე მხოლოდ რამდენიმე პატარა, წუმპის მსგავსი ტბაღა დარჩა. არალის ზღვის დაახლოებით 90 პროცენტი აორთქლდა და აღარ არსებობს, მისი ადგილი კი უდაბნომ დაიკავა.**

არალის ზღვის ეკოლოგიური კატასტროფა განპირობებულია 1950-1960-იანი წლების მიჯნაზე არალის ზღვაში შემავალი ორი მძლავრი მდინარის — ამუდარიისა და სირდარიის წყლების უკონტროლო გამოყენებით. ბამბის მეურნეობას და ეკონომიკის სხვა დარგებს აუცილებლად სჭირდებოდათ მდინარის წყალი, მაგრამ ამ რესურსის გამოყენება არაგონივრულად მოხდა. ჯერ კიდევ 1917 წლამდე, მეფის რუსეთში, ვინმე ვოიკოვმა წამოაყენა წინადადება, ამუდარიისა და სირდარიის წყლების გასარწყავებად გამოყენების თაობაზე. არალის ზღვას მან „წყლის უსარგებლო ამაორთქლებელი“ უწოდა. თუმცა ამ „უსარგებლო ამაორთქლებლის“ გარეშე რეგიონი ეკოლოგიური კატასტროფის მოწმე გახდა: მდინარეების დელტა დაშრა, მოსახლეობა სასმელი წყლის საშინელ ნაკლებობას განიცდის; მდინარეებიდან გაქრა თევზის თითქმის ყველა სახეობა, არადა, აქ 40-ზე მეტი სახეობის თევზი ბინადრობდა; მოსახლეობა, რომელიც თევზის რეწვით ირჩენდა თავს (არალის ზღვაზე თევზსაჭერი ფლოტილია არსებობდა), უმუშევარი დარჩა. ზედაპირის წყლების გადანაცვლებამ გრუნტში (ბამბის პლანტაციების მორწყვის შედეგად) მიწის ზემოთ მარილის მასები ამოიტანა, შედეგად კი ნიადაგი უნაყოფო გახდა, მისი გაწმენდა სულ უფრო და უფრო მეტ წყალს მოითხოვს; მდინარეების გასწვრივ ხეები გაიკაფა ან განადგურდა, თვით მდინარის სათავეებთან, პამირის მთებშიც კი. ზაფხული გარდასულ დროსთან შედარებით უფრო მშრალი და ცხელია, ზამთარი — უფრო მკაცრი; მოსახლეობას ჯანმრთელობის პრობლემები აწუხებს, ბევრი მათგანი იძულებული გახდა, გადასახლებულიყო სხვა რაიონებში ან სულაც საზღვარგარეთ... ასე იცის ბუნებასთან ბოროტმა თამაშმა, ადამიანის სიხარბემ და წინდაუხედაობამ.

ვოიკოვის „ბრძნული“ იდეები ბოლშევიკებმაც აიტაცეს. ერთ-ერთი ჩინოვნიკის თქმით, „არალის ზღვა უნდა დაიღუპოს ისე, როგორც ჯარისკაცი ბრძოლაში“. ერთადერთი, ვინც მდინარის წყლების რაციონალური გამოყენების საკითხი დასვა, იოსებ სტალინი იყო. სტალინმა პრობლემის მოგვარების სამი ვარიანტი განიხილა და მათგან ყველაზე გონივრული ამოარჩია. მისი აზრით, მდინარე ამუდარიიდან არხის გაყვანა უნდა მომხდარიყო ქალაქ ტახიატაშთან, რომელიც ამუდარიის დელტაზე მდებარეობდა. ეს ვარიანტი გონივრული იყო, რადგან მდინარის ზედა ნაწილიდან წყლის გადაქაჩვა ქვედა ნაწილს დააზიანებდა, განსაკუთრებით დელტას. სამართლიანი იქნებოდა, რომ დელტის მოსახლეობას ჰქონოდა წყლის რესურსების განაწილებაზე მეტი გავლენა. სტალინური პროექტით, არხს ერქმეოდა მთავარი თურქმენული არხი, მაგრამ სტალინის გარდაცვალების შემდეგ, უპასუხისმგებლო ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს ყარაყუმის არხის გაყვანა, რომელიც მდინარის ზედა წელში, თურქმენეთ-ავღანეთის საზღვართან იწყება. სწორედ ყარაყუმის არხმა განაპირობა არალის ზღვის ზეჩქარი დაშრობა, ამ ქვიშანარევ არხში გაედინება ამუდარიის წყლების დაახლოებით ნახევარი.

თუმცა საბჭოთა სოციალისტური სისტემიდან კაპიტალისტურზე გადასვლამ ეკოლოგიური კატასტროფის გაღრმავება არ შეაფერხა. არალის ზღვის დაშრობის პიკი 2014 წელზე მოდის. მას შემდეგ წყლის მასამ ოდნავ მოიმატა, მაგრამ მეტი დადებითი აღარაფერი მომხდარა. პირიქით, არალის ზღვის ნარჩენებიც საფრთხის წინაშე დადგა (რაც ტოტალურ ეკოლოგიურ კატასტროფას მოასწავებს), რადგან უზბეკეთი ვერ უძლებს ცდუნებას, არალის ზღვის ყოფილ ტერიტორიაზე, სადაც ამჟამად არალკუმის უდაბნო გაჩნდა, დაზვეროს და მოიპოვოს ნავთობი და გაზი. უზბეკეთის ამ მისწრაფებას, რომელსაც სახელმწიფო კომპანია „უზბეკნავთობგაზი“ წარმოადგენს, გამოეხმაურნენ რუსული „ლუკოილი“ და ჩინური „სი-ენ-პი-სი“. ამჟამად გეოლოგიური დაზვერვითი სამუშაოები დასასრულ ფაზაში შევიდა, მალევე იგეგმება ორი სატესტო ჭაბურღილის გათხრა.

2005 წელს ზემოთ აღნიშნულმა კონსორციუმმა შექმნა ერთობლივი საწარმო „Aral Sea Operating Company“, გეოლოგიური-დაზვერვითი სამუშაოების განსახორციელებლად. ოპერატორმა კომპანიამ დღეის მდგომარეობით დაადგინა, რომ საძიებო ტერიტორიაზე დასტურდება 16 მლნ. ტონა ნახშირწყალბადების მარაგი. ცნობისათვის, საერთაშორისო პრაქტიკაში დიდ ნავთობსაბადოდ მიიჩნევა საბადო, რომლის ნავთობის მარაგი შეადგენს 30 მლნ. ტონას და მეტს (გაზისა კი 30 მილიარდი კუბური მეტრიდან ზევით). შესაბამისად, 16 მილიონი ტონა ნავთობი არის საშუალო მოცულობის საბადო და, ეკოლოგიური რისკების გათვალისწინებით, იგი ვერ იქნება საშუალება, რომელიც უზბეკეთს გაამდიდრებს. ამიტომ, არსებობს ეჭვი იმის თაობაზე, რომ ადგილი აქვს ავანტიურას, რომლის უკან გეოპოლიტიკური ინტერესები იმალება და ეკონომიკა ნაკლებ პრიორიტეტულია.

რისკები კი სერიოზულია. პირველ ყოვლისა, სავარაუდო გათხრებისა და დაზვერვის ტერიტორია („უმიდი“, „დასავლეთი არალი“ და „აკ-ტეპე“) მოიცავს არალის ტბის ჯერ კიდევ შემორჩენილ წყლის მარაგებს (სამუშაოების მხოლოდ ნახევარი ხორციელდება ხმელეთზე). უზბეკეთის მხარეს არსებული წყლების ხელოვნური დაშრობა ავტომატურად გამოიწვევს ყაზახეთის მხარეს დარჩენილი წყლის მარაგების დაშრობასაც და არალის ტბა სრულად გაქრება დედამიწის ზურგიდან. რეგიონში მუდმივად გაბატონებული და სეზონური ქარები აიტაცებს ქიმიკატებით გაჟღენთილი ქვიშის, მარილისა და მტვრის ნაწილაკებს და ამ რეგიონიდან შორს წაიღებს, რაც საფრთხეს შეუქმნის ადამიანების ჯანმრთელობას როგორც უზბეკეთში, ისე მეზობელ ქვეყნებში.

არალის ზღვას ბედი არ ჰქონია, მას არც ცარიზმის ეპოქაში, არც სოციალიზმის და არც პოსტმოდერნული კაპიტალიზმის პირობებში სწყალობზენ. საოცარი არსებაა ადამიანი, რომელიც ყველაფერს აკეთებს საკუთარი თავის საწინააღმდეგოდ.

**გულბაათ რცხილაძე**

◉ მიღებაზე ექიმთან

# რა დაავადებით იტანჯებოდნენ დიდი ადამიანები



## ვალტერ სკოტი

**ავადმყოფის სამედიცინო-ამბულატორიული ბარათი**

**დიაგნოზი:** კენჭები ნაღვლის ბუშტში, მექანიკური ყვითელა, მრავალჯერადი ინსულტი.

**საქმიანობა:** შოტლანდიელი მწერალი, პოეტი.

**დაბადების თარიღი:** 1771 წელი.

**გარდაცვალების თარიღი:** 1832 წელი.

თავდაპირველად ვალტერ სკოტმა სახელი როგორც პოეტმა გაითქვა და, შეძლებული კაცი რომ გახდა, უსაქმური დენდის ცხოვრებას მიჰყვა — მოგზაურობდა, გურმანობდა, უზომოდ ეძალებოდა ვისკისა და ძვირიან ღვინოებს, თუმცა კი შემდეგ განცხრომისთვის საფასურის გადახდა მოუწია.

1817 წლის გაზაფხულზე მწერალთან ფრიად სასიამოვნო და მხიარული საზოგადოება შეიკრიბა, აუარება ღვინო დაილია... მოულოდნელად სკოტი ღვიძლის მკვეთრმა ტკივილმა, რომ იტყვიან, „კვანძად შეკრა“. ტკივილი იმდენად ძლიერი იყო, რომ, მისივე თქმით, იგი „ბოჩოლასავით ბღაოდა“. ავადმყოფი მაშინვე ლოგინში დააწვინეს და საოჯახო ექიმს დაუძახეს. ექიმმა იმ დროს მედიცინაში მთელი არსებული არსენალი გამოიყენა — უთვალავჯერ გამოუშვა სისხლი, ადებდა აუარება სხვადასხვა სახის სალბუნს და ასმევდა ძლიერ ტკივილგამაყუჩებელ ოპიუმის ნაყენს, მაგრამ ავადმყოფს არაფერი შველოდა და კვლავ გულისრევას, მუცლის ტკივილსა და სპაზმებს უჩიოდა. მას, როგორც ჩანს, მექანიკური ყვითელა სჭირდა, რა დროსაც კენჭი ნაღვლის სადინარს კეტავს და სისხლის ნაკადს ის მთელ ტანში გადააქვს.

ბოლოს, სასოწარკვეთამდე მისულმა ექიმმა ავადმყოფს **კალომელი** მისცა — ესაა წამალი, რომლის შემადგენლობაში ვერცხლისწყალი შედის. პრეპარატმა ისე სწრაფად უშველა, რომ სკოტმა მისი წინასწარვე მარაგად ბლომად ყიდვა დაავალა მსახურებს. წინათგრძნობამ მას არ უღალატა, შეტევებმა მოუხშირეს, მაგრამ მათი კალომელით გაუვნებელყოფა მალევე ხერხდებოდა. თანაც სკოტი წამალს... თავადვე ინიშნავდა, ანუ ინტენსიურ თვითმკურნალობას ეწეოდა.

1819 წელს სნეულება გაუმძაფრდა, მუცლის ტკივილები განუწყვეტლივ 7-8, ზოგჯერ კი, სულაც, 10 საათსაც გრძელდებოდა! თანაც სცენარი მუდამ ერთი და იგივე იყო: ტკივილი, გულისრევა, პირღებინება და მექანიკური ყვითელა.

მძიმე ფიზიკურ მდგომარეობას ფინანსური სიძნელეებიც ემატებოდა — სკოტს საქმეთა წარმართვა არ ეხერხებოდა, მისი ქონება ილეოდა, მევალეები აწუხებდნენ, ამიტომაც, ავადმყოფობის მიუხედავად, იგი იძულებული იყო განუწყვეტლივ ეწერა, თავს აიძულებდა ნარკოტიკული თრობის დროსაც კი არ მოსცილებოდა საწერ მაგიდას და ტექსტს მეგობარს კარნახობდა, რადგან თავად კალამს ხელში ვერ იჭერდა. აღსანიშნავია, რომ შეტევის შემდეგ იგი ვერც კი იხსენებდა, თუ რაზე იყო ლაპარაკი მის მიერ ნაკარნახევ ნაწყვეტში.

თანდათანობით სკოტმა გამოჯანმრთელება დაიწყო, მაგრამ ყველანი აღნიშნავდნენ, რომ იგი ძლიერ გახდა, წელში მოიხარა, თმა ერთიანად გაუთეთრდა.

1830 წელს ვალტერ სკოტს პირველი ინსულტი დაემართა: სახე მოეღრიცა, მეტყველება უაზრო და გაურკვეველი გახდა. უკვე მაშინ ექიმებმა შეამჩნიეს კავშირი ინსულტსა და ცხიმიან საკვებს, ასევე თამბაქოს მოწევასა და ალკოჰოლს შორის. ყველაფერი ეს სკოტს კატეგორიულად აუკრძალეს. მწერალმა ექიმთა ეს რჩევები ათ თვეს შეასრულა, მერე კი კვლავ დაიწყო ვისკის სმა. მეორე ინსულტმაც არ დააყოვნა. ამ შემთხვევაშიც მკურნალობამ შედეგი გამოიღო, სკოტმა საზოგადოებაშიც დაიწყო გასვლა, მაგრამ პირველივე ჭიქა ალკოჰოლმა მესამე ინსულტის პროვოცირება გამოიწვია. სკოტს კიდევ ერთხელ გაუმართლა — ის არა მარტო სიკვდილს გადაურჩა, არამედ ხმელთაშუა ზღვაში კრუიზშიც კი გაემგზავრა, რა დროსაც არც ვისკის სმაზე ამბობდა უარს, არც ცხიმიანი საჭმლის მიღებაზე.

მეოთხე ინსულტი მან ველარ გადაიტანა...

### თანამედროვე მიდგომა

**მექანიკური ყვითელას დროს ავადმყოფს მაშინვე მკაცრ დიეტას უნიშნავენ. თუკი პაციენტი ექიმებს ავადმყოფობის დაწყებისთანავე მიმართავს, კენჭების დაშლას ნაღვლის მჟავებით, სამკურნალო ბალახებით ცდილობენ. ასევე მათი დაშლა ულტრაბგერით შეუძლიათ. მაგრამ თუ ამანაც არ უშველა, რეკომენდებულია ნაღვლის ბუშტის ამოკვეთა.**

მოამზადა
**ოთარ ტურაბელიძე**

**კრივი**

# მსოფლიოზე – ექვსეულით



**ნევისპირა ქალაქ სანკტ-პეტერბურგში გუშინ დაიწყო და 27 ნოემბრამდე გაგრძელდება ახალგაზრდა მოკრივეთა მსოფლიოს ჩემპიონატი. 10 წონით კატეგორიაში 75 ქვეყნის 1998-1999 წლებში დაბადებული 400-ზე მეტი სპორტსმენი ეცილება ერთმანეთს ჯილდოებს. შეჯიბრებაში მწვრთნელების - ბეჟან ჭიჭინავას, ილია ტლაშაძისა და გოჩა რუსიას ხელმძღვანელობით საქართველოდან ექვსი სპორტსმენი მონაწილეობს — სახილ ალახვერდიევი (49 კგ), ოთარ ნავერიანი (56), ესკერხან მადიევი (64), არტემ იორდანიანი (81), ნიკოლოზ ბეგაძე (91) და გიორგი ჭილლაძე (+91). საგულისხმოა, რომ ეს ბიჭები წლეულს ანაპაში ახალგაზრდების ევროპის ჩემპიონატში გამოდიოდნენ: ესკერხან მადიევმა ოქროს მედალი მოიპოვა, სახილ ალახვერდიევი და ოთარ ნავერიანი მეორე ადგილებს დასჯერდნენ, გიორგი ჭილლაძეს ბრინჯაოს მედალი ხვდა, ხოლო ნიკოლოზ ბეგაძე ახალგაზრდებში 2015 წლის ევროპის ჩემპიონია.**

ჩვენებურთაგან რინგზე პირველი გავა მძიმეწონოსანი გიორგი ჭილლაძე, რომელიც საღამოს ფინელ ანტი ლეხმუსვირპის დაუპირისპირდება. დღესვე იასპარეზებენ ესკერხან მადიევი და არტემ იორდანიანი. ისინი, შესაბამისად, საიდ ეტუილევსა (ინგლისი) და სერგეი მურაშოვს (რუსეთი) გაუწევენ მეტოქეობას. სახილ ალახვერდიევი ხვალ დილან ფრიჩსა (აშშ) და ვალად ტერზოუტს (ალჟირი) შორის უძლიერესს შეხვდება. ასევე, 19 ნოემბერს გავლენ რინგზე ოთარ ნავერიანი და ნიკოლოზ ბეგაძე ნიკიტა პისკუნოვსა (რუსეთი) და ძმიტრი ძიაშკევიჩთან (ბელარუსი) საპაექროდ.

**ლაშა დიდია**

**კოტე მახარაძე – 90**

# დიდი კომენტატორი, არტისტი, პატრიოტი...

**იგი ბობოქარი ცხოვრების ტრფიალი გახლდათ და, ასევე ბობოქარი გალაკტიონის მსგავსად, 17 ნოემბერს მოევლინა ამ ქვეყანას.**



მართლაც, ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა მხცოვანი და დაჩაჩანაკებული კოტე მახარაძე. მრავალმხრივი ნიჭით მადლმოსილ ფართო დიაპაზონის შემოქმედს ურთულესი ოპერაციის შემდეგაც არ შეუწყვეტია აქტიური მოღვაწეობა და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე უხვად აფრქვევდა უსაზღვრო ენერგიას, ცხოვრებისეულ სიბრძნეს.

ალბათ, ამიტომაც, რომ ვამბობთ კოტეს, ვგულისხმობთ საქართველოში განვითარებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების ეპიცენტრში ტრიალს.



ყველა როდი გაბედავდა დიუსელდორფიდან ისტორიული რეპორტაჟის გადმოცემისას დაუვიწყარი გულისთქმის — წარმომიდგენია, რა ხდება თბილისში, ზეიმობს საქართველოს დედაქალაქი — გაზიარებას. მართალია, სამშობლოში დაბრუნებული, მოსკოვში, სადაც ჯერ არს, იქ დაიბარეს, მაგრამ, როგორც ჭეშმარიტი მამულიშვილი, ბოლომდე პრინციპულ და ქედმოუდრეკელ ქართველად დარჩა, რომელსაც ღირსეულად აფასებდნენ როგორც შინ, ისე უცხოეთში.

პროფესიონალ, საკუთარი ხელწერით გამორჩეულ სპორტულ კომენტატორს, ბუმბერაზეროსისთან ერთად განუმეორებელი დუეტი რომ შეასრულა დაუვიწყარ ტაშკენტში, რა გასაკვირია, რომ განსაკუთრებული პრეტენზიები გააჩნდა ახალგაზრდა კოლეგების მიმართ და იმ დროს შენატროდა, როცა თეატრალურში მომავალ დიქტორებს თავისი საქმის დიდოსტატები ძერწავდნენ.

კოტე მახარაძის თანამედროვეთ უდიდესი პატივი გვერგო, ვისაც იგი გვახსოვს, როგორც ბალერონი, კალათბურთელი, არტისტი, კომენტატორი, ერთი მსახიობის თეატრის სულისჩამდგმელი და მონოსპექტაკლების ავტორი, მაგრამ საკუთარ მესთან შევცოდავთ, თუ წრფელი სიყვარულის მისეულ უნარსაც არ გავუსვამთ ხაზს.

დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, კოტე მახარაძეს, როგორც ამოუწურავ ფენომენს, კიდევ არაერთხელ მიეძღვნება მონატრებით ნასაზრდოები ძარღვიანი სტრიქონები.

*გუშინ დიდ მაესტროს 90 წელი შეუსრულდებოდა.*

**გია პლატონიშვილი**

**ხელბურთი**

# დებიუტი ჩელენჯ-კაპზე

**გივი კარტოზიას სახელობის თბილისის სპორტის სასახლე მომავალ უქმეებზე ხელბურთელ ქალთა 2016-2017 წლების ევროპული ჩელენჯ-კაპის ორ მეთექვსმეტედფინალურ შეხვედრას უმასპინძლებს — თბილისის „მამული“ ჩეხეთის „სოკოლ პორუბას“ დაუპირისპირდება.**



„მამული“, რომელიც 2014 წლის საქართველოს ჩემპიონი, 2015 წლის ვერცხლისა და 2016 წლის ბრინჯაოს პრიზიორია, მსგავს შეჯიბრებაში პირველად მონაწილეობს. გუნდი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ბაზაზეა შექმნილი და ხელბურთელები 19 წლისაც არ არიან. არადა, ევროთასებზე მოთამაშეთა ასაკი შეუზღუდავია, ამიტომ ჩეხეთის „სოკოლ პორუბა“ გამოცდილი, 20-26 წლის ჩეხი და სლოვაკი ხელბურთელებითაა დაკომპლექტებული. მათ ევროტურნირებში გამოსვლის გამოცდილებაც აქვთ, თანაც ქვეყნის 2012 წლის ჩემპიონი და მრავალგზის პრიზიორები არიან.

**19-20 ნოემბერს გუნდები ასეთი შემადგენლობებით ითამაშებენ:**

**„მამული“ (თბილისი):** ანა ვარდიშვილი, ქრისტინე ჯავახია, მარიამ ჩაჩუა, თამარ კუპატაძე, თათია გადელია, ქეთი კუნელაშვილი, თინა ქიტესაშვილი, ელისაბედ ჩხაიძე, ანა ყველაშვილი, მარია ლისენკო, ქეთევან ვენეცკი, კატერინა ესმანოვიჩი, ინა ჭკუასელი, ნინო გაგნიძე, მედეა ჩოხელი, ჯულია ჩირგაძე, მწვრთნელი გიორგი გვაზავა, გუნდის ლიდერი ლანა მარგიანი.

**„სოკოლ პორუბა“ (ოსტრავა, ჩეხეთი):** მარკეტა დოლაკოვა, ლენკა როჰაჩკოვა, ჰანა მუჩკოვა, მარია რევაიოვა, მიხაელა სეკულოვა, შარკა მარჩიკოვა, ბარბარა მილკოვა, ალიცა კოსტელნა, ლეონა შვირაკოვა, სილვია პოლაშკოვა, ელჟბეტა რეხტორისოვა, ჰანა მაივაელდეროვა, დიანა ტომაშეჩოვა, ნიკოლა ვარმუჟოვა, ევა მინარჩიკოვა, მიხაელა კონეჩნა, მთავარი მწვრთნელი პეტერ ოლშავსკი, მწვრთნელი მარტინ ჰორილი.

**ლექსო ცინცაძე**

**ლეგიონერი**

# ზაზას კანადური



**ზაზა ფაჩულიას „გოლდენ სტეიტმა“ გუშინ კანადაში „ტორონტო“ 127:121 დაამარცხა. ზაზამ თამაში სასტარტო ხუთეულში დაიწყო და პარკეტზე 16 წუთი დაჰყო. ამ დროში ქართველმა გუნდს 8 ქულა, 2 პასი და 1 მოხსნა შესძინა. ზაზამ 3-დან ორი ორქულიანი და 4-დან ოთხი საჯარიმო ჩააგდო. ისიც უნდა ითქვას, რომ ფაჩულიამ 4 პერსონალური ჯარიმა მიიღო და ბურთი ერთხელ დაკარგა.**

რაც შეეხება უშუალოდ შეხვედრას, მატჩში გადამწყვეტი მეორე პერიოდი აღმოჩნდა, რომელიც „მეომრებმა“ 32:15 მოიგეს. სტუმართაგან ყველაზე მეტი — 35 ქულა სტეფ კარის ანგარიშზეა, ხოლო კევინ დიურანტმა 29 ქულას მოუყარა თავი „ტორონტოში“ 34 ქულით დემარ დეროზანი გამოირჩა.

„გოლდენ სტეიტი“ 9 მოგებით და ორი მარცხით ნბა-ს რეგულარული სეზონის დასავლეთ კონფერენციაში მეორე ადგილზეა, პირველ ადგილზე კი „კლიპერსია“, რომელსაც 10 მოგება და ერთი მარცხი აქვს.

დღეს ოკლენდელები გასვლაზე „ბოსტონს“ დაუპირისპირდებიან.

**ვიტალი ჯაფარიძე**

**ჩოგბურთი**

# განახლებული რეიტინგით

**ჩოგბურთელ ქალ-ვაჟთა საერთაშორისო ასოციაციებმა განახლებული რეიტინგები გამოაქვეყნეს. ბოლო ორი კვირის შედეგების გათვალისწინებით ჩვენებურთა მაჩვენებლები ასეთია:**

**ქალები**

**ერთეულები.** 203 (201). სოფიო შაფათავა (272), 270 (273). ეკატერინე გორგოძე (171), 439 (449). მარიამ ბოლქვაძე (75), 519 (522). სოფიო ქვაცაბაია (54), 856 (846). ოქსანა კალაშნიკოვა (14), 1076 (1085). ანა შანიძე (7).

**წყვილები.** 45 (43). კალაშნიკოვა (1720), 188 (193). შაფათავა (354), 272 (272). გორგოძე (229), 410 (410). ქვაცაბაია (122), 534 (546). ბოლქვაძე 973), 732 (734). თათია მიქაძე (37), 1142 (1143). შანიძე (10), 1278 (1278). ლანა კენჭიაშვილი 93).

**ვაჟები**

**ერთეულები.** 96 (96). ნიკოლოზ ბასილაშვილი (626), 432 (422). ალექსანდრე მეტრეველი (91), 798 (807). გიორგი ცივაძე (23), 1765 (1764). ალექსანდრე ბაქში (1), 1765 (1764). შოთა მეფარიძე (1), 2074 (2070). გიორგი ჯავახიშვილი (1).

**გივი გაგუა**



**ფეხბურთი**

# ასე ფიქრობს იოზილი

**გერმანიის ნაკრებისა და ლონდონის „არსენალის“ ერთ-ერთმა ლიდერმა მესუთ იოზილმა განაცხადა, რომ მის გუნდს ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეუძლია.**



პრემიერლიგის მე-12 ტურის ცენტრალურ მატჩში „არსენალი“ გასვლაზე „მანჩესტერ იუნაიტედს“ დაუპირისპირდება, იოზილს კი იმის ამბიცია აქვს, რომ ათწლიანი პაუზის შემდეგ ლონდონური კლუბი პირველად გაიმარჯვებს „ოლდ ტრაფორდზე“.

„ჩვენ ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეგვიძლია და გვინდა, რომ მიმდინარე სეზონში ეს ყველას დავანახოთ. საამისოდ ყველა შეხვედრა უნდა მოვიგოთ, დავაგროვოთ ქულების მაქსიმალური რაოდენობა და დიდი გუნდების წინააღმდეგ ისე უნდა ვითამაშოთ, როგორც „ჩელსისთან“.

ცხრილის ზედა ნაწილში დიდი სიმჭიდროვეა და კონკურენტებთან კარგად თამაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ჩვენი მიზანი თითოეულ თამაშში გამარჯვებაა და თუ ამის გაკეთება მოვახერხეთ, ყველა მეტოქეზე ზემოთ ვიქნებით“ — განაცხადა გერმანიის ნაკრების ნახევარმცველმა.

**ცნობისათვის:** „არსენალმა“ „ოლდ ტრაფორდზე“ ბოლოს 2006 წელს ემანუელ ადებაიორის გოლით იმარჯვა — 1:0.

შეგახსენებთ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „არსენალის“ დაპირისპირება შაბათს თბილისის დროით 16 საათსა და 30 წუთზე დაიწყება.

**გიორგი შოთაძე**

**დედაქალაქი**

# თბილისის წიგნის დღეები - 2016




**ქართული ხალხური ზღაპრების ილუსტრაციების, ბოლონიის (იტალია) ილუსტრატორთა, სურათებიანი წიგნების, ნამის (სამხრეთი კორეა) კონკურსის გამარჯვებულთა და საერთაშორისო არტ-წიგნისა და წიგნის გრაფიკის გამოფენები, ასევე ქართულ-უკრაინული ფოტოწიგნების პირველი კონკურსი — ასეთია, მოკლედ, წიგნის ხელოვნების მე-3 საერთაშორისო ფესტივალის „თბილისის წიგნის დღეები — 2016“-ის ძირითად ღონისძიებათა პროგრამა, რომელიც 17 ნოემბერს საგამოფენო სივრცე ექსპო ჯორჯიას №№4, 5, 6 და 11 პავილიონებში გაიხსნა.**

ბუნებრივია, რომ ისევე, როგორც წინა წლებში გამართულ მსგავსი ტიპის უამრავ გამოფენაზე, მთავარი ღონისძიება მაინც სხვადასხვა გამომცემლობის მიერ ბოლო დროს დასტამბული მრავალი სამამულო თუ სახელგანთქმული უცხოელი ავტორის ნაწარმოებთა გამოფენა-გაყიდვაა დიდად შეღავათიან ფასებში.

საგანგებოდ აღსანიშნავია ისიც, რომ საერთაშორისო ფესტივალის „თბილისის წიგნის დღეების“ ფარგლებში ჩატარდება საქვეყნოდ ცნობილი საბავშვო ლიტერატურის ილუსტრაციის სფეროში მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვანი ბოლონიის (იტალია) ყოველწლიური გამოფენა, რომელშიც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის საბავშვო ლიტერატურის ილუსტრატორი იღებს მონაწილეობას. წლეულს მათმა რიცხოვნობამ 3200 კაცი შეადგინა, რომელთაგან შერჩეული 77 საუკეთესო მხატვრის თითო ნამუშევარი საქართველოშია ჩამოტანილი.

გარდა ამისა, ბოლონიის გამოფენის პარალელურად, „თბილისის წიგნის დღეებში“ ექსპო ჯორჯიას №5 პავილიონი ასევე უმასპინძლებს ხალხური ზღაპრების ილუსტრაციის გამოფენას, რომელზეც ქართველ ილუსტრატორთა მიერ 20 ზღაპრის 51 დასურათება იქნება წარმოდგენილი. საგანგებოდ აღსანიშნავია ისიც, რომ ისინი შვეიცარიის წამყვანმა გამომცემლობა „ნორდზიუდმა“ შეარჩია.

№4 პავილიონში მოეწყობა ქართულ-უკრაინული ფოტოწიგნებისა და საერთაშორისო სახელოვნებო წიგნების გამოფენები. ამავე დროს კი №6 პავილიონში გოეთეს ინსტიტუტი მოაწყობს ქალბატონ ირინა პოპიაშვილის კურატორობით ორგანიზებულ ღონისძიებას Art@Books („ხელოვნება და წიგნი“), რომელიც გერმანული და სახელოვნებო წიგნების გამომცემლობათა, ხელოვანთა და კურატორთა საქართველოში ვირტუალური მოგზაურობის მოწყობას გულისხმობს.

ცალკე აღსანიშნავია, რომ მე-3 საერთაშორისო ფესტივალზე — „თბილისის წიგნის დღეები“ მოწყობილ წიგნების გამოფენა-გაყიდვაში წარმოდგენილია 50-ზე მეტი ცნობილი სამამულო და მრავალი უცხოური გამომცემლობა. ექსპო ჯორჯიას სხვადასხვა პავილიონებში კი გაიმართება მკითხველთათვის უაღრესად საგულისხმო წიგნის წარდგენა.

აუცილებლად ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიების ორგანიზატორები საგამოფენო ცენტრი ექსპო ჯორჯია და წიგნის ხელოვნების ცენტრია, ხოლო მხარდამჭერთა შორის არიან თბილისის გოეთეს ინსტიტუტი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, რომლებსაც პარტნიორობას უწევდნენ საქართველოში ბულგარეთისა და იტალიის საელჩოები, ასოციაცია „არტ კავკასია“, ბოლონიის (იტალია) წიგნის ბაზრობა, ნამის (სამხრეთი კორეა) საბავშვო ილუსტრაციების ფესტივალი და უკრაინული „ფოტოალტერნატივა“.

**ნინო ალექსანდრია**

**დედაქალაქი**

# შაქრის კრიზისი მსოფლიოსა და საქართველოში

**შაქრის ბაზარზე არსებულმა კრიზისმა მნიშვნელოვნად შეცვალა ვითარება როგორც მსოფლიო ბაზარზე, ასევე საქართველოშიც. რამდენიმე თვეა „თეთრი ოქრო“ შეუჩერებლად ძვირდება. პროდუქტის დეფიციტია უდიდეს მწარმოებელ ქვეყნებში. ჩვენთან კი ნედლეულის გლობალურმა გაძვირებამ ერთადერთი შაქრის ქარხნის დახურვა გამოიწვია.**

ოქტომბერში მსოფლიო ბაზარზე შაქრის ფასი 10,5 პუნქტით (3,4%) — 315,3 პუნქტამდე გაიზარდა, სექტემბრის მაჩვენებელთან შედარებით.

სურსათის მსოფლიო ორგანიზაციის (FAO) მონაცემებით, ზედიზედ მეექვსე თვეა, მსოფლიო ბაზარზე შაქრის ფასი მატულობს. ამის ერთ-ერთ მიზეზად სპეციალისტები ბრაზილიაში ანომალიური გვალვის გამო შაქრის ლერწმის შემცირებულ მოსავალს ასახელებენ.

FAO-ს ანალიტიკოსთან განცხადებით, ფასების ზრდა ასევე გამოიწვია ინდოეთში შაქრის მოსავლის გაფუჭებამ, რის გამოც ინდოეთი იძულებული იქნება, შაქრის იმპორტი გაზარდოს. ეს ნიშნავს, რომ პლანეტის 2 ყველაზე დიდი მწარმოებელი სახელმწიფო თავად განიცდის შაქრის დეფიციტს.

გასაკვირი არ არის, რომ კიდევ უფრო რთული მდგომარეობაა იმ ქვეყნებში, რომლებიც შაქრის იმპორტით არიან დაკავებულნი. მათ რიგებს უკვე საქართველოც 100 პროცენტით შეემატა, რადგან ქვეყანაში მოქმედი შაქრის უსხვილესი მწარმოებელი, კომპანია „აგარის შაქარი“ დაიხურა. როგორც კომპანიის გენერალური დირექტორი ალხან ალიზადე აცხადებს, ქარხანა 10 დღეა, გაჩერებულია. დახურვის მიზეზი იმპორტირებულ პროდუქციასთან კონკურენცია გახდა.



„ქვეყანაში შაქარი ძირითადად უკრაინიდან შემოდის, რომელსაც ბაზრის დაახლოებით 50 პროცენტი უკავია და თანაც იაფია. იმის გამო, რომ უკრაინული შაქარი იაფია, მასთან კონკურენცია ძალიან რთულია. ჩვენ წარმოება რომც აღარ აღვადგინოთ, შაქარზე მოთხოვნას იმპორტირებული პროდუქცია დააბალანსებს. შესაბამისად, ბაზარზე არც დეფიციტი იქნება და არც ფასი გაიზრდება“, — განუცხადა „კომერსანტს“ ალიზადემ.

მისივე ინფორმაციით, სამუშაო პროცესი, სავარაუდოდ, იანვარში განახლდება, თუმცა ეს დამოკიდებული იქნება კომპანიის მენეჯმენტსა და ახალ მთავრობას შორის მოლაპარაკებაზე.

ალიზადე ამბობს, რომ კომპანია „აგარის შაქარში“ 500-მდე ადამიანია დასაქმებული. მათი აბსოლუტური უმრავლესობა დღესდღეობით დროებით უმუშევარია.

აგარის შაქრის ქარხანა ქარელის რაიონის დაბა აგარაში 1932 წელს დაარსდა. 1958 წლამდე ქარხანა შაქარს ადგილობრივი წარმოების შაქრის ჭარხლისაგან აწარმოებდა, რომლის წლიური მოცულობა 100 000 ტონას არ აღემატებოდა, ხოლო მისგან წარმოებული თეთრი შაქრის წარმოება კი 8000 ტონას. 1958 წლიდან 1995 წლამდე ქარხანა თეთრი შაქრის წარმოების როგორც შაქრის ჭარხლისაგან, ისე შაქრის ლერწმისაგან დამზადებული ნედელულისაგან ახდენდა, ხოლო 1995 წლიდან მოყოლებული, იმის გამო, რომ საქართველოში შაქრის ჭარხლის წარმოების მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა და მისი წლიური მოცულობა 10000 ტონას აღარ აღემატებოდა, ქარხანა თეთრ შაქარს აწარმოებს შაქრის ლერწმისაგან დამზადებული ნედლეულისაგან.

**დანიელ ბექაური**

**სანთელი**

**ვიქტორია სირაძე, ნელი გურგენიძე, ნათელა ლაღიძე, ლია ლომიძე, მადონა მგელაძე, ლამარა გაგუა, დალი ბოჯგუა, მარო გონჯილაშვილი, ლუბა ბიბილეიშვილი, ლეილა ჭეიშვილი, თინა დარასელია ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის ნათელა ვასაძის ძმის, მედიცინის თვალსაჩინო მოღვაწის, აკადემიკოს**

**გიზო ვასაძის**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის დიდ ოჯახს.**

---

**საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია თანაუგრძნობს ამავე აკადემიის საპატიო პრეზიდენტს, ქალბატონ ნათელა ვასაძეს ძმის, პროფესორ**

**გაიოზ ვასაძის**

**გარდაცვალების გამო.**

**მსოფლიოს სიახლენი**

## თურქმა სამხედროებმა ისედაც გათურქებულ ბერლინს პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვეს



**თურქი სამხედროები გერმანიაში პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვენ.** ინფორმაციას BBC ავრცელებს. საუბარია გერმანიის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ნატოს სამხედრო ბაზის თურქ ოფიცრებზე. გერმანიის მთავრობის წარმომადგენლები ჯერ-ჯერობით არ აკონკრეტებენ, რამდენმა სამხედრომ მოითხოვა პოლიტიკური თავშესაფარი გერმანიაში. უცნობია თურქი ოფიცრების გადაწყვეტილების მიზეზიც, თუმცა დასავლურ მედიაში წერენ, რომ, შესაძლოა, სამხედროების გადაწყვეტილება თურქეთში მასობრივ დაკავებებს უკავშირდებოდეს. 15 ივლისის სამხედრო გადატრიალების შემდეგ თურქეთში 37 ათასი ადამიანი დააკავეს, 110 ათასი კი თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

## ინაუგურაციის შემდეგ ტრამპი შეიძლება, მოსკოვში ჩავიდეს



**რუსეთში დონალდ ტრამპის ვიზიტი მისი ინაუგურაციის შემდეგ შედგება.** ამის შესახებ გამოცემა „იზვესტია“ იტყობინება. ოფიციალურ მოსკოვს ეს ინფორმაცია ჯერ არ დაუდასტურებია. ცნობილია, რომ რამდენიმე დღის წინათ დონალდ ტრამპი და ვლადიმირ პუტინი ერთმანეთს ტელეფონით ესაუბრნენ. მხარეებმა ორი ქვეყნის ურთიერთობის ნორმალიზების აუცილებლობაზე ისაუბრეს.

## ნიუ-იორკში, პირველად მსოფლიოში, შავ ცათამბჯენს ააგებენ

**ნიუ-იორკში, პირველად მსოფლიოში, შავ ცათამბჯემს ააგებენ. შენობაში, რომელშიც მთლიანად საცხოვრებელი ფართები განთავსდება, გაეროს ოფისთან ახლოს აშენდება. შენობა 42-სართულიანი იქნება და ის რიჩარდ მაიერის მიერაა დაპროექტებული.**



არქიტექტორმა მომავალ ცათამბჯენს უკვე უწოდა „685 First Avenue“.

მთლიანობაში შენობა 140 მეტრის სიმაღლის იქნება და 71 ათას კვ/მ-ს გააერთიანებს. შენობა სპეციალიზირებული შუშით იქნება შეფუთული, რომელიც შავი ფერის იქნება. აივნები კი მეტალისგან დამზადდება.

შენობაში 408 ბინა ქირით გაიცემა, ხოლო 148 გაიყიდება.

## ჰააგის სასამართლოს, სავარაუდოდ, ფილიპინებიც დატოვებს



**რუსეთის კვალდაკვალ ჰააგის სასამართლოს დატოვებას ფილიპინებიც აპირებს. ამის შესახებ ქვეყნის პრეზიდენტმა როდრიგო დუტერტემ განაცხადა.**

„რუსეთის მაგალითი მისაბაძია. იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი და ჩინეთი მსოფლიოში ახალ წესრიგს შექმნიან, ერთ-ერთი პირველები ვიქნებით, ვინც მათ მხარს დაუჭერს,“ — აღნიშნა დუტერტემ.

ფილიპინების პრეზიდენტს დასავლეთი ადამიანის უფლებათა დარღვევაში ადანაშაულებს. ამის მიზეზი ადგილობრივი ნარკომაფიის წინააღმდეგ დაწყებული სპეცოპერაცია გახდა, რასაც ასობით ადამიანი ემსხვერპლა.

# ბალტიისპირეთი ქართულ ღვინოს ეტანება...

**ბალტიისპირეთის ქვეყნები ქართული ღვინის სტრატეგიულ საექსპორტო ბაზრებად რჩება, სადაც მომავალ წელს ღვინის ეროვნული სააგენტო აქტიურ მარკეტინგულ ღონისძიებებს გააგრძელებს. ამის შესახებ ღვინის ეროვნული სააგენტოს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი ჩოლობარგიამ ესტონეთსა და ლატვიაში გამართული ქართული ღვინის პრეზენტაციების შემდეგ განაცხადა.**



მარკეტინგულ ღონისძიებებს ბალტიისპირეთის ქვეყნებში, როგორც ქართული ღვინის სტრატეგიულ საექსპორტო ბაზრებზე" - აღნიშნა ირაკლი ჩოლობარგიამ.

რიგაში გამართულ ღონისძიებას ლატვიაში საქართველოს ელჩი თეიმურაზ ჯანჯალია დაესწრო. ელჩმა საკუთარ გამოსვლაში ლატვიაში ქართული ღვინის პოპულარიზაციაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ საელჩო ხელს უწყობს ქართველ მეღვინეებს ლატვიური ბაზრის ათვისებაში.

თეიმურაზ ჯანჯალიას თქმით, ბოლო ორი წლის მონაცემებით, ლატვიაში საგრძნობლად გაიზარდა მოთხოვნა ქართულ ღვინოზე და შედეგად, ქვეყანა პირველ ადგილზეა ბალტიისპირეთში ქართული ღვინისა და სპირტიანი სასმელების (ჭაჭა, ბრენდი) იმპორტის მოცულობით.

ტალინსა და რიგაში გამართულ დეგუსტაციებში წარდგენილი იყო 8 ქართული ღვინის კომპანიის სხვადასხვა დასახელების ღვინოები. ეს კომპანიებია: „ბესინი", „კორპორაცია ქართული ღვინო", „შილდა", „თელა", „ვაინმენი", „მათრობელა ვაინსი", „კახური" და BGW.

ლატვია და ესტონეთი ქართული ღვინის საექსპორტო ბაზრების ათეულში შედიან.

ქართული ღვინის წარდგენა-დეგუსტაცია სახელწოდებით — „Wines of Georgia", რომელსაც ირაკლი ჩოლობარგია უძღვებოდა, ტალინსა და რიგაში გაიმართა. პრეზენტაციებს ადგილობრივი და უცხოელი იმპორტიორები, სომელიეები, რესტორნების მეპატრონეები, ღვინის კლუბის წევრები, ღვინის ჟურნალისტები და ბლოგერები დაესწრნენ. ტალინში ერთ-ერთი პრეზენტაცია ესტონეთის სომელიეთა სკოლაში გაიმართა.

„ბალტიისპირეთის ქვეყნები ქართული ღვინის ტრადიციული ბაზრებია, თუმცა ჩვენ ვმუშაობთ ახალ სეგმენტზე — ახალგაზრდებზე, რათა მათ გავაცნოთ ქართული ღვინის კულტურა და ტრადიციები. ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ცნობადობის გაზრდისთვის მნიშვნელოვანია, რომ ესტონეთის სომელიეთა სკოლის სასწავლო პროგრამაში ქართული ღვინოებიც შევიდა. ღვინის ეროვნული სააგენტო მომავალ წელსაც გააგრძელებს აქტიურ

# გუდაური-კობის მონაკვეთზე მოძრაობა აკრძალულია

**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, ზვავსაშიშროების, ძლიერი თოვისა და ქარბუქის გამო, საავტომობილო გზების რამდენიმე მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის გადაადგილება აიკრძალა:**

გარემოს ეროვნული სააგენტოს ცნობით, მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის გუდაური (ფოსტა)-კობის მონაკვეთზე ინტენსიური თოვის გამო ზვავსაშიშროებაა, რის გამოც გზის აღნიშნულ მონაკვეთზე აკრძალულია ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა.

აღნიშნული რეჟიმის უზრუნველყოფა განხორციელდება საპატრულო პოლიციის უშუალო ზედამხედველობით და კოორდინაციით.

რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო (თოვის, ძლიერი ქარბუქის და შეზღუდული ხილვადობის), კოდა-ფარცხისი-მანგლისი-წალკა-ნინოწმინდის საავტომობილო გზის საუღელტეხილო მონაკვეთზე (ნარდევანი-ფარავანი) კმ 94-კმ110, ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია.

ინტენსიური თოვის, ქარბუქის და შეზღუდული ხილვადობის გამო, ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის კმ 106-კმ123 მონაკვეთზე ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია.

გზის დანარჩენ მონაკვეთებზე მოძრაობა თავისუფალია.




# ალკოჰოლიკებად იბადებიან?



**შვედმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს გენი, რომელიც ადამიანს... ალკოჰოლიკად ხდის.**

თუმცა ისიცაა, რომ ეს გენური ალკოჰოლიზმის მიგნების პირველი შემთხვევა არ არის. ლაპარაკია იმ გენებზე, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კეთილდღეობის განცდის გამომწვევ ნივთიერებათა გამომუშავებაზე.

ამ გენთა დეფექტებით დაბადებულ ადამიანებს, ნეიროჰორმონთა უკმარისობის გამო, სხვებზე უფრო ხშირად ემართებათ დეპრესია, ადვილად ღიზიანდებიან და ა. შ. ასპროცენტიანად იმის მტკიცება, რომ ისინი ალკოჰოლიკები გახდებიან, არ შეიძლება, თუმცა კი ნებისმიერი დამოუკიდებულების შეძენის რისკი მათში გაცილებით მაღალია. ალკოჰოლიზმი მათთვის მოჩვენებითი კეთილდღეობის მიღწევის მხოლოდ ერთი ფორმაა.

# ქარვისთვალა შავგვრემანი მამაკაცები

**შვეიცარიელმა მეცნიერებმა იმის დადგენა შეძლეს, თუ როგორ გამოიყურებოდნენ თანამედროვე ევროპელთა უძველესი წინაპრები. საამისოდ მათ შვეიცარიის მღვიმე მიშონსა და საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნი ადამიანების ნეშტების გენეტიკური ანალიზი ჩაატარეს.**

შვეიცარიაში მიგნებულ ნეშტთა ასაკი 13,7 ათასი წელია, საქართველოში ნაპოვნებისა კი — 9,7 ათასი და 13,3 ათასი წელი.



მეცნიერებმა პიგმენტაციაზე პასუხისმგებელი გენების იდენტიფიცირება შეძლეს. ყველა უძველეს მამაკაცს, რომელთა ნეშტების შესწავლა მოხერხდა, ყავისფერი თვალები და მუქი თმა ჰქონდა, მაგრამ შვეიცარიაში ნაპოვნი მამაკაცის კანი, საქართველოში ნაპოვნისაზე გაცილებით მუქი იყო.

## ანეკდოტები

**— შინამოსამსახურისთვის სარეკომენდაციო წერილის დაწერა მიწევს და აღვნიშნე, რომ საქმეს მაინცდამაინც კარგად ვერ უძღვება, თანაც ცოტა ზარმაცია. მაგრამ, რა ვქნა, გულით კარგი გოგოა და მინდა კარგი რამეც ჩავუწერო, მაგრამ რა, შენ ხომ ვერ მირჩევ, ჩემო კარგო? — ეკითხება ქალბატონი მთვარისა მეგობარს.**

**— ჩაუწერე, რომ ძალიან უყვარს ძილი და მშვენიერი მადა აქვს!**

* * *

**თუკი ოთხი წლის შემდეგ აღმოჩნდება, რომ ტრამპის მეთაურობით ამერიკელები ისევ რუსეთელებზე უკეთ ცხოვრობენ, შემდეგ არჩევნებზე პუტინის მეტოქე ჟირინოვსკი იქნება.**



* * *

**— ვაიმე, ბიჭო, გუშინ პლაჟზე ორი ქალიშვილი ვნახე, მთლად დედიშობილა ბანაობდნენ!**

**— რას ამბობ, ბიჭო, ნოემბერში, ამ სიცივეში? ალბათ, ლომვეშაპები თუ იყვნენ!**

**— ისე, მართალი ხარ, ერთი ნამდვილად ლომვეშაპი იყო, მაგრამ მეორეს კი არა უშავდა რა, სიმპათიური იყო!..**

* * *

**— შვილო, დედიკომ შენი დღიურის შემოწმება მთხოვა.**

**— კაი რა, მამიკო, შენ ხომ სუსტი გული გაქვს!**

**— შენ გენაცვალე, ჩემო კარგო, მარტო შენ გეცოდები ამ ოჯახში!**

## განცხადება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის" ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 17 21 21; 599 79 76 79.

## განცხადება

იყიდება დიდი დიღმის პირველ მიკრორაიონში, კლინიკა „იმედიდან" ორასიოდე მეტრში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალური გალავნით არის შემოღობილი და სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავითაა განაშენიანებული. ყველა კომუნიკაცია (გაზი, დენი, კანალიზაცია) ჭიშკართანაა მიყვანილი, წყალი კი შეყვანილია. ნაკვეთის ფართობია 1250 კვ. მეტრი. შეიძლება ნახევრის ყიდვაც. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 598 51 81 35; 599 16 81 71; 599 11 19 11.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე"

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში"
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

## ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა" შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

## უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.4926; ევრო - 2.6686;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1018;
100 რუბლი - 3.8143; თურქული ლირა - 0.7523;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4273;
1000 სომხური დრამი - 5.2038.

## ამინდი 18 ნოემბრისთვის

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე 0, | დღე +11 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -5, | დღე +7 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +1, | დღე +11 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -3, | დღე +7 |
| თბილისი: | ღამე +3, | დღე +8 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE